სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 1 დეკემბერი 2006 №278 (2900) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თასი თუ აღარ არის სუპერ, თამაში იყოს სუპერ!

დღეს ორი გუნდიდან ერთი 2006 წლის მონაგარს კიდევ ერთი თასით გაიმდიდრებს — ბოლნისის „სიონი“ და თბილისის „აძერი“ „მიხეილ მესხზე“ „ფოლკსვაგენის თასისთვის“ შეეტოქებიან ერთმანეთს და გამარჯვებული გუნდი 10 ათას ლარსაც გამოჰკრავს ხელს.

წესით, თამაში კარგი უნდა გამოდგეს, ამიტომაც მაყურებლებს ვაკისკენ დაძვრა არ უნდა დაეზაროთ. თანაც, მატჩზე დასწრება უფასოა.

რამდენი თახსირი დადის ამ ქვეყანაზე

კალაძე ცოცხალია, ჩვენ მოვკვდით

ძალიან გვინდა, სარბიელელთა გუშინდელი დღე, უფრო სწორად, შუადღე ყველამ თვალნათლივ წარმოიდგინოს.

დაახლოებით ორ-სამ საათზე ერთ-ერთ ჩვენგანს ახლობელმა დაურეკა: საფეხბურთო წრეებში დაირხა ჭორი, რომ კახა კალაძე ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ინფორმაცია შეუმოწმებელია. პირველი, რასაც ვაკეთებთ, კახასთან დარეკვაა. „ტიმ სერვისტა“... და ასე შემდეგ, გვეუბნება ავტომოპასუხე — ტელეფონი გამორთულია.

იმავდროულად ვიწყებთ ინტერნეტში ძიებას: „მილანის“ სერვერზე არაფერია, „გაძეტა დელო სპორტი“ არაფერს ამბობს, „რაიმ“ არაფერი იცის, „როიტერზე“ არაფერია, „ფრანს პრესი“ დუმს და... უცებ **www.swellserver.com**-ზე მავანი **Global Associated News**-ის ცნობა სათაურით „კახა კალაძე ავტოკატასტროფაში დაიღუპა“. სათაურს მოსდევს ტექსტი და... ავარიის ფოტო.

„ავტობანის უსაფრთხოების სამსახურმა ჟურნალისტებს შეატყობინა, რომ კახა კალაძემ, რომელიც მეგობრის მანქანას მართავდა, საჭე ვერ დაიმორჩილა და რამდენჯერმე ამოტრიალდა. როგორც იტყობინებიან, მანქანა მოძრაობდა 95 მილი საათში სისწრაფით. თვითმხილველები აცხადებენ, რომ კალაძის მანქანა...“

რედაქცია შოკშია!

და მაინც, რატომ არ წერს არაფერს „როიტერი“? „მილანის“ ვებგვერდი? „გაძეტა დელო სპორტი“? „ფრანს პრესი“?

და აქ ხდება ძალიან საინტერესო რამ: **www.swellserver.com**-ს ზუსტად ისე, როგორც კალაძის შესახებ ვკითხეთ, სხვა ცნობილ ფეხბურთელზე დავეკითხეთ.

ვებგვერდის პასუხი: „ავტოკატასტროფაში დაიღუპა“.

...?

ახლა ერთ-ერთი ჩვენგანის გვარ-სახელს ვწერთ.

Global Associated News-ის ცნობა სათაურით....

აი, აქ კი ატყდა ხარხარი და ცოტა ხანში თითოეული ჩვენგანის მაგიდაზე დაიდო უცხოური სააგენტოს ცნობა ჩვენი გარდაცვალების შესახებ, თუმცა „როიტერი“, „ფრანს პრესი“ და სხვა ორგანიზაციები ჯერჯერობით ამასაც არ ადასტურებენ.

ამრიგად, ჩვენ ყველანი ცოცხლები ვართ და ცოცხალია კახა კალაძეც, რომელსაც მოგვიანებით იტალიაში შევეხმიანეთ...

— ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. აუცილებლად ვიჩივლებ — გვიპასუხა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა.

bookmark this page

Search the Web | Search

TOP NEWS STORIES Welcome, guest [Sign Out, My Account]

News Home - Help

Home | U.S. | Business | World | Entertainment | Sports | Tech | Politics | Science | Celebrity | Useless | Most Popular

Photos | Opinion | Local News | Odd News | Comics | Weather | Full Coverage | Video/Audio | Hoover Sites | Site Index

Search: celebrity paparazzi photos | search all news | advanced search

Kaladze dies in tragic car crash

GLOBAL ASSOCIATED NEWS

Kaladze was pronounced dead at the scene by paramedics responding to the accident.

Highway Safety Investigators have told reporters that Kaladze lost control while driving a friend's vehicle on Interstate 80 and rolled the vehicle several times killing him instantly.

The vehicle was believed to have been traveling at approximately 95 miles per hour in a 55mph zone at the time of the accident.

Witnesses have stated that Kaladze's car crossed the double lines several times prior to the accident and hit the center lane divider causing the vehicle to flip and roll.

Toxicology tests will be performed to determine whether he was driving under the influence.

Memorial services for Kaladze have not yet been announced. The service is expected to be a closed casket funeral due to the severe head trauma.

ELSEWHERE ON THE WEB

Who's Your Soulmate? Predict your Soul Mate's name. Try it!

BRAZIL GIRLS DATING 9000 Chicas Sexy. Rio girls. Bahia!

Buy Legal Bud Huge Online Smoke Shop!

Pulp Fiction Wallets HERE Bad Motha Full6, Best Xmas gift ever

NAPSTER OF PORN !!!! We Teach You How to Get Free XXX Access!

Your Site Here

ADVERTISEMENT

Do It the **Easy Way** with copernic desktop search

Copernic Desktop Search FREE DOWNLOAD copernic

OTHER STUFF

Offbeat News New Orleans Katrina parody causes outrage



მალხაზ ასათიანს გაცდენები ჩაუთვალეს

გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ რუსული პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრები გამოაქვეყნა და მასში ერთადერთი ქართველი, მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი მალხაზ ასათიანი მოხვდა.

2006 წლის სიმბოლური ნაკრები: პოლიაკოვი („ლოკომოტივი“, 5-ჯერ), ვ. ბერეზუცკი (ცსკა, 6), **ასათიანი** („ლოკომოტივი“, 6), კალისტო („რუბინი“, 4), ლოსკოვი („ლოკომოტივი“, 6), ვ. ბისტროვი („სპარტაკი“, 7), ბილიალეტდინოვი („ლოკომოტივი“, 4), ტიტოვი („სპარტაკი“, 7), არშავინი („ზენიტი“, 7), ჟო (ცსკა, 7), დომინგესი („რუბინი“, 7).

საინტერესოა, რომ მალხაზ ასათიანმა ტრავმის გამო პრემიერლიგის ნახევარზე მეტი გააცდინა და მხოლოდ 14 მატჩი ჩაატარა. იმასაც გაგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში ასათიანი ტურის სიმბოლურ ნაკრებებში ყველაზე მეტჯერ, თერთმეტჯერ მოხვდა.

და კიდევ: ასათიანის გარდა რუსეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთაგან სიმბოლურ ნაკრებებში ორჯერ მოხვდა სამარის „კრილია სოვეტოვის“ შემტევი ნახევარმცველი დავით მუჯირი, ხოლო თითოჯერ ნალჩიკელი საყრდენი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა და რუბინელები, მეკარე ნუკრი რევიშვილი და მცველი ლაშა სალუქვაძე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ალარ მორჩა ეს ესეესეროობა?!

რუსული და უკრაინული კლუბების მფლობელ ოლიგარქებს ახალი იდეა გაუჩნდათ — ჩატარდეს რუსეთისა და უკრაინის გაერთიანებული ჩემპიონატი.

ეს იდეა ადრე მოსკოვის „დინამოს“ და კიევის „დინამოს“ პრეზიდენტებს — ალექსეი ფედორიჩევს და იგორ სურკისს დაებადათ. მათი აზრით, რუსეთ-უკრაინის ჩემპიონატი საინტერესო იქნებოდა არა მხოლოდ გულშემატკივართათვის, არამედ თავად კლუბების მფლობელთათვის. ამ აზრს ახლა დონეცკშიც აქტიურად განიხილავენ — „შახტარის“ მფლობელი მილიარდერი რინატ ახმეტოვი სერიოზულად დაინტერესებულა ორი ქვეყნის ჩემპიონატების გაერთიანებით.

თავიდან ითქვა, ჩემპიონატი თექვსმეტგუნდიანი უნდა იყოსო, თუმცა მოგვიანებით ახალი იდეის მხარდამჭერებმა ისიც თქვეს, ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო იქნება, თუ რამდენიმე გუნდი მოლდოვიდან, ბელარუსიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან შეუერთდებათ... ეგაა, ოლიგარქებს მცირებიუჯეტიანი გუნდების მონაწილეობა არ ხიბლავთ და ახლა იდეის დახვეწაზე მუშაობენ.

ამასობაში უკრაინულმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ მკითხველთა გამოკითხვა ჩაატარა, რომელმა გუნდებმა უნდა ითამაშონ გაერთიანებულ ჩემპიონატში. გამოკითხვაში თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ორასზე მეტი გუნდი დასახელდა. საუკეთესო თექვსმეტეულში კი ეს კლუბები მოხვდნენ: კიევის „დინამო“, „შახტარი“, „დნიპრო“, „ჩერნომორეცი“, „მეტალისტი“, დონეცკის „მეტალურგი“, ცსკა, „ლოკომოტივი“, მოსკოვის „სპარტაკი“, „ზენიტი“, „რუბინი“, „ტორპედო“, მოსკოვის „დინამო“, „კრილია სოვეტოვი“, „მოსკვა“ და თბილისის „დინამო“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სარბიელელები თანავუგრძნობთ გელა კეტაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებენ გელა კეტაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

ნახევარ გუნდს კონტრაქტი უმთავრდება
რა იქნება ზესტაფონი მეორე წრეში?

„ზესტაფონმა“ ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა, ლიდერ „ოლიმპს“ ორადორი ქულით ჩამორჩა, თუმც ზესტაფონელები იმაში არიან პირველები, რომ ყველაზე ცოტა, 3 გოლი გაუშვეს და ისიც ერთ მატჩში — აქამდე არ მომხდარა, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში გუნდს მხოლოდ ერთ თამაშში გაეშვას გოლი.

„ზესტაფონის“ 28 წლის მცველ შალვა ღონღლაძეს, ვინც „სარბიელის“ ვერსიით პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, ამის გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ...

— „ზესტაფონის“ გარდა ჩემპიონობისთვის კიდევ ოთხი გუნდი იბრძვის, რომელთაგან პირველ წრეში მხოლოდ თბილისის „დინამოს“ დამარცხება მოახერხეთ...

— მეტის გაკეთებაც შეგვეძლო, მაგრამ რა გაეწყობა, ყველა თამაშს ვერ მოიგებ. რუსთავის „ოლიმპთან“ სეზონის დასაწყისში ვითამაშეთ ფრე და მაშინ კარგ ფორმაში არ ვიყავით, თბილისის „ამერთან“ არ გაგვიმართლა და ვერ მოვიგეთ, „ვიტ ჯორჯიასთან“ მეოთხე ტურში კი 0:3 წავაგეთ, პირველმა გაშვებულმა გოლმა გაგვტეხა. სხვათა შორის, „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის შემდეგ გოლი აღარ გაგვიშვია.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშის შემდეგ „ზესტაფონში“ მწვრთნელი შეგეცვალათ...

— თემურ მახარაძემ თავისი პრინციპები შემოიტანა გუნდში და ერთხელაც დაამტკიცა, რომ კარგი მწვრთნელია. მან შემადგენლობაც შეცვალა და სწორედ მას მერე არ გაგვიშვია გოლი ჩემპიონატში.

— ზედიზედ ცხრა საჩემპიონატო მატჩში გოლი რომ არ გაუშვით, ახალი მწვრთნელის გარდა ალბათ დაცვის და მეკარის დამსახურებაცაა...

— „ზესტაფონში“ ერთსულოვნებაა და ჩვენი შედეგი მთლიანად გუნდის დამსახურებაა. როცა ცხრა თამაშში გოლს არ გაუშვებ, ეს, რა თქმა უნდა, მეკარის და დაცვის კარგი თამაშის გამოა, მაგრამ თამაშს ერთი კაცი არ იგებს და არ აგებს.

— პირველ წრეში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონა?

— ყველაზე უფრო „ოლიმპთან“ გაგვიჭირდა თამაში მიუხედავად იმისა, რომ პირველ წრეში ჩვენი დამარცხება მხოლოდ „ვიტ ჯორჯიამ“ შესძლო.

— თასის ჯგუფური ეტაპის ერთი მატჩიც და, სეზონის პირველი ეტაპი დასრულდება — რას აპირებს „ზესტაფონი“ მეორე წრისთვის?

— ჯერ პირველ წრის ანალიზი უნდა გაკეთდეს. სავარაუდოდ, „ზესტაფონი“ სეზონის განახლებისთვის ბაკურიანში და კვიპროსზე გაემგზავრება. „ზესტაფონის“ მიზანი ჩემპიონობაა და, თუ შემადგენლობის შენარჩუნება მოხერხდა, კარგი საჩემპიონო შანსები გვექნება.

— ანუ, არის იმის ალბათობა, რომ „ზესტაფონის“ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე გამოცდილმა ფეხბურთელმა გუნდი დატოვოს?

— ძირითადი შემადგენლობის ექვს-შვიდ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი გვიმთავრდება და ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება...

დავით თამგართაძილაძე

გუნდურ დელეგაციაში ფოტო

UEFA CUP — უეფას თასი
ჯგუფური ეტაპი, I ტური

E ჯგუფი

ნანსი 3:0(შეწყდა) ფეიენოორდი
1:0 პუგრენიე (22), ბაია (ს.ჯ.), ზერკა (66)

ვისლა 3:1 ბაზელი
0:1 მაისტოროვიჩი (9), 1:1 ბროზეკი (10), 2:1 პაულისტა (70), 3:1 ბროზეკი (83)

ბლეიბერნი	3	2	1	0	5:1	7
ნანსი	2	1	1	0	4:3	4
ვისლა	3	1	0	2	5:5	3
ფეიენოორდი	2	0	2	0	1:1	2
ბაზელი	4	0	2	2	4:9	2

ბოლო ტური. 13 დეკემბერი

ბლეიბერნი — ნანსი

ფეიენოორდი — ვისლა

F ჯგუფი

აიაქსი 0:2 ესპანიოლი
0:1 პანდიანი (36), კორო (78)

აუსტრია 0:1 სპარტა
0:1 რეჟეპკა (11)

ესპანიოლი	3	3	0	0	10:2	9
ზულტე-ვარეგემი	3	2	0	1	9:8	6
აიაქსი	3	1	1	1	3:2	4
სპარტა	4	1	1	2	2:4	4
აუსტრია	3	0	0	3	1:8	0

ბოლო ტური. 13 დეკემბერი

ესპანიოლი — აუსტრია

ზულტე-ვარეგემი — აიაქსი

G ჯგუფი

ბოლესლავი 0:0 ჰსჟ

პანათინაიკოსი 0:0 რაპიდი

პანათინაიკოსი	3	2	1	0	3:0	7
ჰაპოელი	3	1	1	1	6:6	4
რაპიდი	4	0	4	0	3:3	4
ბოლესლავი	3	0	2	1	1:2	2
ჰსჟ	3	0	2	1	2:4	2

ბოლო ტური. 13 დეკემბერი

ჰსჟ — პანათინაიკოსი

ჰაპოელი — ბოლესლავი

H ჯგუფი

სელტა 1:0 ფენერბაჰჩე
1:0 კანობიო (77)

აინტრახტი 0:0 ნიუკასლი

ნიუკასლი	4	3	1	0	4:1	10
სელტა	3	1	1	1	3:3	4
ფენერბაჰჩე	3	1	0	2	3:2	3
პალერმო	3	1	0	2	2:5	3
აინტრახტი	3	0	2	1	2:3	2

ბოლო ტური. 13 დეკემბერი

პალერმო — სელტა

ფენერბაჰჩე — აინტრახტი

როიალ ლიგა

B ჯგუფი
III ტური

ბრონდბიუ 3:1 ჰამარბი

ლილესტრიომი 1:0 კოპენჰაგენი

C ჯგუფი
III ტური

აიკ 1:1 ვიბორგი

იტალია

თასის მერვეფინალი
საპასუხო მატჩები

კიევო 1:1 *რეჯინა* (2:2)

პალერმო 2:3 *სამპდორია* (0:1)

ამხანაგური მატჩი

სალვადორი 0:0 პანამა

ფოლქსვაგენის თასი

თბილისი. 1 დეკემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი

სიონი — ამერი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, მ. მაისურაძე; დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი; დელეგატი: პ. ბურჯალიანი

ფული ფულია, მაგრამ თასი თასია

დღეს „მიხეილ მესხზე“ „ფოლქსვაგენის თასია“ — საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ და თასის მფლობელი თბილისის „ამერი“ ამ ტიტულთან ერთად ერთმანეთს სწორედ „ფოლქსვაგენის“ დაწესებულ 10 ათას ლარს შეეცილებიან.

„ფოლქსვაგენის თასი“ წლეულს პირველად გათამაშდება. ადრე კი ამ ჯილდოს „სუპერთასი“ ეწოდებოდა, რომელსაც ოთხჯერ თბილისის „დინამო“ ფლობდა, ერთხელაც „ბათუმი“. სხვათა შორის, ახლა ისიც პირველად ხდება, რომ „დინამო“ ვერც ჩემპიონის და ვერც თასის მფლობელის რანგში სუპერთასისთვის ვერ თამაშობს. მაშინაც, როცა ამ გათამაშებაში „ბათუმმა“ იმარჯვა, მეტოქედ სწორედ „დინამო“ ჰყავდა. ეს რვა წლის წინ იყო. სუპერთასისთვის სულ პირველი მატჩი კი გაზეთ „რეზონანსის“ ინიციატივით 1996 წელს შედგა: „დინამო“ — „ბათუმი“ 4:0.

ახლა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ამ გათამაშებისთვის ახალი სპონსორი — „ფოლქსვაგენი“ მოიძია და სუპერთასიც საავტომობილო ბრენდის სახელობისა გახდა, ამ კონცერნის ქართულმა წარმომადგენლობამ კი მოგებულისთვის ჯილდოდ 10 ათასი ლარი დააწესა. თანაც ერთი საჩუქარი ქომაგებსაც გაუკეთა, დღევანდელ მატჩს ისინი უფასოდ დაესწრებიან. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ „მიხეილ მესხზე“ ქომაგი მრავლად მივა, რაც მეტოქეებს კარგად სათამაშოდ მეტ სტიმულს მისცემს. პროფლიგის ცნობით, „ფოლქსვაგენის თასს“ ხუთასამდე „პატრიოტიც“ დაესწრება.

მაშ ასე, დღეს „მიხეილ მესხზე“ ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩი უნდა გამოვიდეს. მით უმეტეს, რომ ორივე გუნდი თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. თითქმის, რადგანაც „სიონს“ კამერუნელი ბოიომო ფრიდოლინი და ზაზა ჭელიძე დააკლდებიან, ხოლო „ამერს“ სულიკო დავითაშვილი — სამივე ფეხბურთელი ტრავმირებულია. სამაგიეროდ, ამ ერთ შეხვედრაში „სიონს“ მწვრთნელის მთელი უფლებამოსილებით დაუბრუნდება კახა ცხადაძე, ვინც სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, სეზონის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული.

გუშინ მეტოქე გუნდების მწვრთნელებმა კახა ცხადაძემ და გიორგი ჩიხრაძემ „მიხეილ მესხზე“ მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართეს...

ბაჩო ქორჩილავას ფოტო

კახა ცხადაძე: „ფოლქსვაგენის თასი“ ერთობ პრესტიჟული ჯილდოა და ძალიან გვსურს, ეს ტიტულიც მოვიპოვოთ. წინა სეზონის ჩემპიონის და თასის მფლობელის შეხვედრა, ცხადია, საინტერესო და ქომაგისთვის მიმზიდველი იქნება. ვინაიდან ამ მატჩის ჩატარება, ცოტა არ იყოს, ფორსმაჟორულ ვითარებაში გადაწყდა, „ამერთან“ შეხვედრისთვის საგანგებოდ მომზადება ველარ შევძელით. ჩვეული რიტმით ვვარჯიშობთ და, იმედია, სასურველ შედეგსაც მივაღწევთ. ისე, პროფლიგა სამომავლოდ ამ ამბავს ალბათ გაითვალისწინებს და მეტოქეებს მატჩის ჩატარების თაობაზე უფრო ადრე აცნობებს.

— ამ ეტაპზე ფეხბურთელთა ინდივიდუალურ მომზადებაზე გაცილებით მეტია დამოკიდებული, ვიდრე მწვრთნელებზე. რომელი გუნდის ფეხბურთელებიც უკეთ იქნებიან მომზადებულნი ამ კონკრეტული მატჩისთვის, ის მოიგებს. მწვრთნელებს კი ფეხბურთელთა საგანგებოდ მოსამზადებლად დრო არ გვქონდა.

— ცხადია, ძალიან კარგია, რომ „ფოლქსვაგენის თასის“ მოსაპოვებლად მეტოქეებს ფინანსური სტიმულიც აქვთ, მაგრამ ვფიქრობ, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ტიტულის მოპოვებაა. პროფლიგა და „ფოლქსვაგენი“ რამდენიმეწლიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ და ფულადი ჯილდო ალბათ მომავალში გაიზრდება, რაც „ფოლქსვაგენის თასის“ პრესტიჟს აამაღლებს.

— „სიონის“ ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არასახარბიელოა. პირველ წრეში გუნდს სტაბილურობა აკლდა, რასაც თავისი ახსნა კი აქვს, მაგრამ მიზეზების ჩამოთვლას ახლა აღარ მოვყვები. მთავარია, რომ ამ ეტაპზე პროგრამა-მინიმუმი უკვე შევასრულეთ, ანუ თასის გათამაშების ჯგუფიდან გავედით, ჩემპიონატში კი მთელი მეორე წრე წინაა, ჩვენც კიდევ მოვუმატებთ და სატურნირო მდგომარეობას გავიუმჯობესებთ. ბოლო მატჩებში „სიონს“ შედეგიც კარგი ჰქონდა და ხარისხიანადაც თამაშობდა.

— ჯერ კიდევ გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა „სიონი“ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე. კლუბის ხელმძღვანელობის პასუხს ველით და ეს პასუხი რაც მალე მეცოდინება, მით უკეთესი. გუნდის მოსამზადებელი გეგმა შესადგენია და უკვე ყოველი დღე მნიშვნელოვანია. როგორც ყველა ტურნირი და ტიტული, მოსკოვში თამაშიც პრესტიჟული იქნება.

გიორგი ჩიხრაძე: ცხადია, „ფოლქსვაგენის თასის“ მატჩისთვის მთელი სერიოზულობითა და გულმოდგინებით ვემზადებით. ჩემპიონატში ბოლო მატჩი წავაგეთ, თუმცა ახლა ყურადღება სწორედ „სიონთან“ შეხვედრაზე გვაქვს გადატანილი. მეტოქე ბოლო მატჩებში საკმაოდ კარგად გამოიყურება, რაც იმის თქმის უფლებას მაძლევს, რომ ურთულესი, ქომაგისთვის თვალსასეირო თამაში იქნება. ამ მატჩის წინ სულიკო დავითაშვილის გარდა ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

— ჩვენი ფეხბურთელები პროფესიონალები არიან, მათ ფინანსური დაინტერესებაც აქვთ და ფეხბურთიც უყვართ. „ფოლქსვაგენის თასის“ მოპოვებისთვის დაწესებული ფულადი ჯილდო მნიშვნელოვანი კი არის, მაგრამ მთავარი მაინც ის ტიტულია, რისთვისაც „სიონთან“ ვითამაშებთ.

— ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ კმაყოფილების გრძნობა არ მაქვს. თავიდან „ამერი“ ჩემპიონატს ლიდერობდა, შემდეგ მეორე ადგილზე ჩავინაცვლეთ, თუმცა ლიდერობა მალევე დავიბრუნეთ და ბოლოს ისევ დავკარგეთ. მეორე წრიდან კი უფრო საინტერესო და უკომპრომისო ბრძოლას ველი, თუმცა სერიოზული პრობლემა ისაა, რომ ჩემპიონატის აუტსაიდერები დანარჩენ გუნდებს ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევენ. ყველაფრის მიუხედავად კი, ცხადია, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. „ამერმა“ „ოლიმპთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩებში დაამტკიცა, რომ ურთულესი თამაშების შემობრუნების პოტენცია და მებრძოლი სული აქვს.

— „ფოლქსვაგენის თასზე“ და თანაც ქვეყნის ჩემპიონთან თამაში „ამერისთვის“ დამატებითი სტიმულია და ამ მატჩშიც ვეცდებით, ჩვენი საუკეთესო თვისებები ბოლომდე გამოვავლინოთ.

მწვრთნელებმა ჟურნალისტებთან საქმე ამით მოამთავრეს და თავიანთ გუნდებს მიაშურეს, დღეს ისინი ერთმანეთს მოედანზე შეხვდებიან. ჩვენ კი შევახსენებთ, რომ „სიონმა“ და „ამერმა“ ამ სეზონში ბოლნისში უკვე ითამაშეს, ჩემპიონატის მეშვიდე ტურში — 1:1. დღეს ფრე აღარ იქნება, „ფოლქსვაგენის თასს“ ან ერთი ჩაიბარებს, ან მეორე...

ნუ დაივიწყებთ, რომ მატჩი 14 საათზე იწყება და სტადიონზე შესვლა უფასოა.

კობა ინასარიძე

ბაჩო ქორჩილავას ფოტო

არაფერს მივედ-მოვედები

იუმორი, რელიგია და სიყვარული

ის მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურად, უყვარს იუმორი, მაგრამ არ უყვარს ინტერვიუები და ყურადღების ცენტრში ყოფნა, მხოლოდ „ბლექბერნ როვერსის“ რადიოსთვის იძლევა ინტერვიუებს უყოყმანოდ. „ბლექბერნის“ ლიდერ თუგაი ძერიმოღლუსთან საუბარი ადრეც გვინდოდა და, როცა დახმარებისთვის მის თანაგუნდელსა და მეგობარს ზურაბ ხიზანიშვილს მივმართეთ, არც ამან გაჭრა. მეორე ცდაზე კი თუგაის მის მშობლიურ ენაზე ვესაუბრეთ ტელეფონით და ინტერვიუც გამოვიდა.

ოთხი წლის წინ მუნდიალზე ბრინჯაოს მომნაგრებელი თუგაი 36 წლისაა და თურქეთის ნაკრებში, რომელშიც 92 კეპი მოუხვეჭია, უკვე აღარ თამაშობს. 1990-2000 წლებში ის სტამბოლის „გალათასარაიში“ ექვსჯერ გახდა თურქეთის ჩემპიონი. შემდეგ ერთი წელი გლაზგოს „რეინჯერსში“ თამაშობდა, იქაც ჩემპიონი შეიქნა, ხოლო „ბლექბერნში“ ხუთი წლის წინ გადავიდა.

თუგაი ისეთი შუახაზელია, გამთამაშებლობაც რომ ეხერხება და საყრდენი ნახევარმცველობაც. მას ბევრი გოლი არ გააქვს, მაგრამ გუნდის ხერხემალია, თამაშის საკუთარ თავზე აღება შეუძლია.

ეს ქერათმიანი თურქი ტრაბზონში დაიბადა, თუმცა იქაურ გუნდში არ უთამაშია, მყის „გალათასარაიში“ ამოყო თავი. მასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...

წინა კვირას მილანში გადაღებული ფოტო: თუგაი, ზურაბ ხიზანიშვილი და მისი მეუღლე სალომე ღვინიაშვილი

რას ასმევს თუგაი ხიზანიშვილს

— ტრაბზონში კი დავიბადე, მაგრამ მოზარდობისას ჩვენი ოჯახი სტამბოლში გადავიდა საცხოვრებლად. ბავშვთა ფეხბურთიდან მყისვე „გალათასარაიში“ მოვხვდი — ტრანსფერი იმ აგენტმა გამიკეთა, ვინც ამავე დროს ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო.

— რას ნიშნავს თქვენთვის „გალათასარაი“ და იქ გატარებული ათი წელიწადი? რა არის ამ კლუბის ფილოსოფია?

— „გალათასარაი“ თურქეთში სახალხო გუნდია და ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემთვის კი „გალათასარაი“ მშობლიურ კერად აღიქმება, სადაც ფეხბურთელად და პიროვნებად ჩამოვყალიბდი — „გალათასარაიში“ ჩემ გვერდით ძალიან ძლიერი, მაგარი ხალხი იდგა — ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვისთან, ვის ხელში და საღ იწყებს კარიერას.

— 90-იან წლებში თურქეთის ჩემპიონატში შოთა არველაძეც თამაშობდა და მის წინააღმდეგ არაერთხელ გითამაშიათ — რას იტყოდით ამ ფეხბურთელზე?

— შოთას თურქეთში თამაში კარგად მახსოვს და ისიც ვიცი, სადაც კი წავიდა, ყველგან უმაღლეს დონეზე რომ ითამაშა. ის მეგოლედაა დაბადებული, გარდა ამისა, ასეთი მანერით მოთამაშე ცენტრფორვარდი ძალიან იშვიათია. შოთა ნებისმიერი რანგის გუნდს მოუხდებოდა.

— თურქეთიდან შოტლანდიაში წახვედით — რატომ მაინცდამაინც „რეინჯერსში“?

— „გალათასარაიში“ გატარებული ათი წლის შემდეგ ძალიან მინდოდა ევროპაში წასვლა. პირველი შემოთავაზება „რეინჯერსიდან“ მივიღე და სხვა შემოთავაზებებს აღარ დავუცადე. თანაც „რეინჯერსი“ ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ იყო.

— „რეინჯერსის“ მერე ისევ ბრიტანეთში, „ბლექბერნში“ აღმოჩნდით — შეყვარებული ხართ ბრიტანულ ფეხბურთზე?

— ბრიტანული ფეხბურთი გარედან ხომ მიმზიდველია და შიგნიდან უფრო საოცარია — ალბათ ყველა ხედავს, თუ რა სიახლოვე და უშუალობაა ბრიტანეთში ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს შორის. „ბლექბერნში“ გადასვლაზე დიდხანს არ დავფიქრებულვარ. სადაც ვარ, იქაურობა მართლაც მიყვარს.

— ზურაბ ხიზანიშვილთან მეგობრობთ — რა გაქვთ საერთო თქვენ და ზურას, რა განაპირობებს თქვენს მეგობრობას?

— პირველ რიგში ის, რომ ზურა ქართველია — საქართველო კი თურქეთის მეზობელი და მეგობარი ერია. ჩვენი მეუღლეებიც ისეთივე ახლო მეგობრები არიან, როგორც მე და ზურა ვართ. ხშირად დავდივართ რესტორანში და ერთმანეთთან სახლში.

— რესტორანში და სახლში ზურას ყველაზე უფრო რაზე ეპატიჟებით?

— ჩაის ვასმევ ხოლმე.

— ხიზანიშვილს, როგორც ფეხბურთელს, როგორ დაახასიათებდით?

— ტექნიკურია და ვარჯიშებზეც კი ჯიგრიანად იხარჯება. თავის საქმეს კარგად აკეთებს, სხვანაირად პრემიერლიგური გუნდის ძირითადში რეგულარულად ვერ ითამაშებდა.

— ოთხი წლის წინანდელ ამბებზეც გკითხავთ — კორეა-იაპონიაში გამართულ მუნდიალზე თურქეთის ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი რომ მოიპოვა, ასეთი წარმატება პირველ რიგში რამ მოგიტანათ?

— ეს წარმატება სამმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი: ფედერაციის პრეზიდენტი ჭკვიანი კაცი იყო და სწორი ხედვა ჰქონდა. მეორე: შენოლ გიუნეშის სახით მცოდნე მწვრთნელი გყავდა, მისი სამწვრთნელო უნარი და ფედერაციის პრეზიდენტთან მეგობრობა ერთმანეთს კარგად ეხამებოდა. მესამე: ვინც მაშინდელ ნაკრებში ვიყავით, 14-16 წლის ასაკიდან ვიცნობდით ერთმანეთს და ერთად სხვადასხვა დონეზე გვქონდა ნათამაშები.

— 2003 წელს კი თურქეთის ნაკრებმა ევრო 2004-ის საგზური ვერ მოიპოვა — ამაზე გულდაწყვეტის გამო გამოეთხოვეთ ნაკრებს თუ 33 წლისა სანაკრებო დატვირთვებს მოერიდეთ?

— ნაკრებში თამაში კიდევ შემეძლო და ბევრზე უკეთაც, ჯანზეც ვიყავი, მაგრამ არ ვარ ის კაცი, ახალგაზრდებს გზა გადავუღობო. ნაკრებში ჩემი დრო მოვილიე და ამიტომაც წამოვედი.

— ყოველთვის ერიდებით მასმედიას და ყურადღების ცენტრში ყოფნას — არასდროს გსურდათ, ვარსკვლავურად გეცხოვრათ?

— სიმშვიდე და სიმყუდროვე ხასიათში მაქვს გამჯდარი, არაფერს მივედ-მოვედები, ოჯახთან ყოფნა ყველაფერს მირჩევნია.

— საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?

— მხოლოდ სამი ქართველი ფეხბურთელის თამაში მინახავს — შოთა, არჩილი და ზურა — მათგან ვერავის გამოვარჩევ, რადგან რომელიმეს ეწყინება.

— 36 წლის ხართ და კვლავაც ახალგაზრდულ ჟინითა და ღონით თამაშობთ — ალბათ განსაკუთრებულად იცავთ რეჟიმს...

— არანაირი საიდუმლო და განსაკუთრებული რეჟიმი, უბრალოდ, ვარჯიშის და თამაშის შემდეგ კარგად უნდა დაისვენო — დატვირთების შემდეგ მძინავს. ალბათ სწორედ კარგად გამოძინებაშია საქმე.

— „ბლექბერნის“ ბოლო პრემიერლიგურ შეხვედრაში „ტოტენჰემთან“ ეფექტური გოლი გაიტანეთ შორეული დარტყმით...

— რაც თავი მახსოვს, ძლიერი ფეხები მაქვს და თუ ზუსტად დავარტყი, მაგარი გოლი გამოდის — ასე იყო „ტოტენჰემთანაც“.

— რელიგიური ხართ?

— მორწმუნე ვარ და ალკოჰოლს არ ვეტანები. როცა საშუალება მომეცემა, ყოველთვის დავდივარ მეჩეთში.

— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს და რას აპირებთ ფეხბურთელობის შემდეგ?

— კიდევ სამ სეზონს ვითამაშებ. მიყვარს კინოში და თეატრში სიარული ოჯახთან ერთად, ოუმც ფეხბურთის გარდა არანაირი ჰობი არ მაქვს. როცა თამაშს დავასრულებ, მწვრთნელობას ალბათ არ დავიწყებ, მაგრამ ისევ ფეხბურთში დავრჩები.

დავით თავართქილაძე
ვაჟა ხუციშვილი

ხომ არ გვეფიქრა ახალ სამსახურზე?

სასწორების გასწორება

საქართველოს ჩემპიონატში არაფერი მომხდარა ისეთი, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების ჩემპიონატებში არ ყოფილა. მეტიც: გოჭის თავი და მობილური ტელეფონები, რაც „კამპ ნოუსა“ და სხვა სტადიონებზე გადავარდნილა, საქართველოში ჯერ არავის უსვრია — ალბათ, ქართველ გულშემატკივართა მატერიალური მდგომარეობის გამო.

თუმცა საქართველოში სხვა უცნაურობები მომხდარა. მაგალითად, ფეხბურთელს აუტი პირითი ხაზიდან ჩაუწოდებია, შეცვლილი ფეხბურთელი კი მოედნიდან გასულა და უკან დაბრუნებულა.

ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი სხვაა — როგორი დამოკიდებულება გვაქვს საფეხბურთო უმსგავსობების მიმართ. დაგვეთანხმებით, რომ ქვეყნებში, სადაც თითოეულ ფაქტზე გულდასმით მსჯელობენ და ადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებენ, უმსგავსობანი ნორმად არ იქცევა ხოლმე. ანუ იმის თქმა გვსურს, რომ მსაჯებიც კიდევ ბევრჯერ შეცდებიან და გულშემატკივარიც მოიქცევა უწესოდ, ოღონდ უწესობა ცხოვრების წესად ვერ იქცევა და მხოლოდ გამონაკლისის სახე ექნება.

ლაპარაკი კი იქით მიგვყავს, რომ საქართველოში ასე არ არის — აქ ისინი, ვისაც გულდასმით მსჯელობა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება ევალებათ, ამას არ თუ ვერ აკეთებენ.

ზოგად მსჯელობას ყოველთვის სჯობს კონკრეტული მაგალითების გახსენება და მათი გარჩევით დასაბუთება, რა არის და როგორ.

გინებით დავიწყოთ. „ბორჯომისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას ვიტელმა პაატა დათუნაიშვილმა ბორჯომელ გულშემატკივარს შეაგინა. რამდენიმე ხნის მერე კი „ამერი“ — „ლოკომოტივის“ მატჩისას არბიტრმა მალხაზ ბეუქლიშვილმა „ამერის“ გულშემატკივარს შეუკურთხა. ანუ გვაქვს, ერთი შეხედვით, ორი იდენტური საფეხბურთო დანაშაული: მატჩის მონაწილე გულშემატკივარს აგინებს. მაგრამ აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ ორი ფაქტის მიმსგავსება-მიტოლება გვარიანი ბრმაყრუობაა — მსაჯის ავყიობა ხომ ფეხბურთისთვის ერთობ უჩვეულო და ათასგზის საზიანო საქმეა.

და რა მოჰყვა ამას? დათუნაიშვილს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ბეუქლიშვილი კი მხოლოდ ორი ტურით დაასვენეს (იმ ორი ტურიდან ერთში ბეუქლიშვილი ისედაც ისვენებდა, ანუ, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთმატჩიანი სასჯელი გამოუვიდა).

დავაზუსტებთ: დათუნაიშვილის უფრო ლმობიერად ან ბეუქლიშვილის უფრო მკაცრად დასჯას კი არ ვითხოვთ — გასარკვევია, რატომ არ მიიღეს ამ ორი დანაშაულის გარჩევისას თუნდაც ერთნაირი გადაწყვეტილება? ეს უპრინციპობა არ არის?!

ხოლო იქ, სადაც მოსამართლე უპრინციპოა და არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებს, არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ პრობლემა მოგვარდება.

დაგვეთანხმებით, ნებისმიერი სასჯელის გამოტანისას მთავარი მიზანი ის უნდა იყოს, რომ მომავალში დანაშაულთა რიცხვი მაქსიმალურად შემცირდეს.

სჯვათა შორის, მსაჯთა შეფს ამირან კაჭახიძეს ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო მოსაზრება აქვს: თურმე ბეუქლიშვილი უფრო მსუბუქად იმიტომ დაისაჯა, რომ ... ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და ბევრი მატჩით რომ დაესაჯათ, ქირის ფულის გადახდა გაუჭირდებოდა.

ამ არგუმენტის საფუძვლიანობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, კი ბატონო, ეგრე იყოს. მეტიც — სულაც პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცათ, მაგრამ მაშინ დათუნაიშვილიც პირობითად უნდა დასჯილიყო.

ვიმეორებთ: ჩვენ სასჯელის ზომაზე კი არა, ადეკვატურობაზე ვლაპარაკობთ. მაგრამ როცა ერთს მსუბუქად სჯი, რაკი ქირა აქვს გადასახდელი, მეორეს კი, რა უჭირს, მისი ძმაც ფეხბურთელია, ხელფასი აქვს და ძმას როგორმე ხელს გაუმართავსო — საქმისადმი ამგვარი მიდგომა, ფაქტია, გინების შემთხვევების შემცირებას ხელს ვერ შეუწყობს.

რა თქმა უნდა, მხოლოდ მოედანზე მყოფები არ იგინებიან. იგინება მაყურებელიც და არა მხოლოდ იგინება.

კიდევ ერთი მაგალითი. გულშემატკივრის ქცევა „ამერი“ — „ოლიმპის“ მატჩზე.

ერთ ეპიზოდში „ამერის“ გულშემატკივარი გვერდითი მსაჯის მიმართულებით იფურთხება. მსაჯი ამას ოპერატიულად აფიქსირებს. მეორე, მესამე და მეოთხე ეპიზოდებში კი „ოლიმპის“ გულშემატკივრები ამერელებს — რატი წინამძღვრიშვილს (ორჯერ) და დავით ბოლქვაძეს ასანთის კოლოფებს ესვრიან და არტყამენ. მეოთხე მსაჯს ასანთის კოლოფის სროლის სამიდან ერთ შემთხვევაში თავადვე გამოაქვს კოლოფი მოედნიდან.

მერე კი ისე ხდება, რომ ფედერაციაში მიტანილ ოქმში შეფურთხების ფაქტი წერია, ასანთის კოლოფის გარტყმისა კი არა.

და ისევ კითხვა: რატომ მოხდა ასე? გვიჭირს დაჯერება, რომ მსაჯს ეს გულმავიწყობით მოუვიდა.

და ისევ იგივე ლოგიკური ჯაჭვი: თუ მსაჯისკენ ფურთხება დანაშაულია, ფეხბურთელისთვის ასანთის კოლოფის გარტყმაც დანაშაული უნდა იყოს, ხოლო თუ სროლა დანაშაული არ არის, არც ფურთხება უნდა იყოს დანაშაული.

ამ შემთხვევაშიც, ჩვენ სასჯელის ზომაზე არ ვლაპარაკობთ, ადეკვატურობასა და პრინციპულობაზე მოგახსენებთ, რომელიც არც მსაჯის საქციელში ჩანს და არც მსაჯების უფროსის — ნუთუ არ უნდა დაინტერესდე ამგვარი გულმავიწყობის მიზეზებით?

ერთი საქმეც: „დინამო“ — „ოლიმპის“ მატჩზე არბიტრ ლაშა სილაგავას მსაჯობა.

დაგვეთანხმებით, რომ თუ სილაგავამ იმ მატჩში სასჯელის ღირსი შეცდომები დაუშვა, კომისიას პრინციპულობა უნდა გამოეჩინა და დისკვალიფიკაცია მიეცა. ხოლო თუ კომისია თვლის, რომ სილაგავას ასეთი შეცდომები არ დაუშვია, ამ შემთხვევაშიც პრინციპულობა უნდა გამოეჩინა და მსაჯი დაეცვა. ვფიქრობთ, აქ გაუგებარი არაფერია. ახლა ვნახოთ, რა გადაწყვეტილება მიიღო კომისიამ: „კომისია დარწმუნდა, რომ დატვირთულმა კალენდარმა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გამოიწვია ლ. სილაგავას გადაღლა და გადაწყვიტა, გაათავისუფლოს იგი უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩების მსაჯობისგან მომავალი ერთი ტურით.“

რა გამოდის — სილაგავა არც დაისაჯა და არც გამართლდა, ჩვენი აზრით კი, მსაჯთუხუცესებმა უპრინციპობა გამოიჩინეს.

ეს მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია. იმედი გვაქვს, იმასაც დააკვირდებოდით, რომ სათამაშო ეპიზოდებში მსაჯთა შეცდომებზე არაფერი გვითქვამს, რაკი სათამაშო ეპიზოდის გარჩევა ხშირ შემთხვევაში ფრიად საკამათოა.

ჩვენ მიერ მოტანილი სამივე მაგალითი კი ისეთია, გონიერი კაცი საკამათოდ რომ არ გახდის. მომავალში კი, როცა ქართული ფეხბურთის მესვეურები აღშფოთებულები გვეტყვიან, ფეხბურთელი და მაყურებელი უსგავსოდ მოიქცნენო, ეგებ გულის შორეულ კუნჭულში ეჭვად მაინც გაჰკრათ, ჩვენი უპრინციპობის, გულმავიწყობის, არათანმიმდევრულობის, არაადეკვატურობის თუ არაკომპეტენტურობის ბრალიც ხომ არ არისო...

გიორგი დარჯანია

ჰაინც ტოპმიოლერმა ნაყრებს მურთაზ დაუშვილი დაამატა

ჯერ მალტა, მერე ელიტა

ჰაინც ტოპმიოლერმა შეცვლა უკვე გააკეთა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები 3-8 დეკემბერს მალტაზე შეკრებას გაივლის და ორ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს იქაურ 19-წლამდელებთან. ჩვენი გუნდის თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა საამმატჩებოდ 18 ფეხბურთელი რომ გამოიძახა, ადრეც გაუწყეთ, თუმცა სიაში ერთი ცვლილებაა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, „გაგრას“ მცველი ვახტანგ ქვრივიშვილი ისე დაშავდა, მალტაზე გამგზავრებას ვეღარ შეძლებს და მის ნაცვლად ტოპმიოლერმა ზესტაფონელ მურთაზ დაუშვილს უხმო.

შეგახსენებთ, ქართველი 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდისთვის ემზადებიან.

აქვე სამალტე სიაც:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

მცველები: გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ლაშა თოთაძე (გაგრა);

ნახევარმცველები: გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), ნიკო კვასხვაძე (ზესტაფონი), მირზა ბაკლავა (ზესტაფონი), ლევან ყენია (ლოკომოტივი), დავით თარგამაძე (დინამო), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი);

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია).

ძახა შალამბერიძე

ბენდელას თასი

23-28 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში მეთხუთმეტედ გაიმართება აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანის, საქართველოს და სსრკ-ის ახალგაზრდული ნაკრებების ყოფილი წევრის, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის, „დინამოს“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილ ზაზა ბენდელიანის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში — „ბენდელას თასი“.

გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის წამყვანი საფეხბურთო კლუბები, უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერების და მინიფეხბურთელთა გუნდები. ტურნირის ძირითადი ნაწილის პარალელურად ჩატარდება ნორჩ ფეხბურთელთა (1995 წელს დაბადებულები) ტურნირი, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან 24 გუნდი ითამაშებს. გარდა ამისა, ტრადიციულად ჩატარდება ბლიც-ტურნირი ვეტერან ფეხბურთელთა და მოყვარულთა გუნდების (საქართველოს პარლამენტი, თბილისის მერია, თბილისის საკრებულო, ნაციონალური მოძრაობა, ჟურნალისტები...) მონაწილეობით.

„ბენდელას თასის“ გათამაშების საინფორმაციო მხარდაჭერნი არიან: საზოგადოებრივი არხი, „რუსთავი 2“, „მზე“, „პირველი სტერეო“, „იმედი“, „აჭარა“;

რადიოები: „იმედი“, „უცნობი“, „ჯაკო“.

გაზეთები: „24 საათი“, „სპორტი“, „სარბიელი“, „ალია“, „ოლიმპი“, „11X11“, „ლელო“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალი თაობა“, „მსოფლიო სპორტი“.

ტურნირში მონაწილე გუნდების კენჭისყრა გაიმართება კუს ტბაზე კაფე-ბარ „უიქენდში“ 19 დეკემბერს 17 საათზე. ბავშვთა გუნდების კენჭისყრა ჩატარდება საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ ოფისში (თბილისი, იოსებიძის 50) 15 დეკემბერს 15 საათზე.

„ბენდელის თასის“ გათამაშებაში მონაწილეობის მსურველები დაუკავშირდით ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს ქვემოთ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე. ბავშვთა ტურნირში მონაწილეთა შესატანი 250 ლარია, ხოლო უფროსებში — 600 ლარი.

„ბენდელის თასის“ საორგანიზაციო კომიტეტი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

საკონტაქტო ტელეფონები: 91-38-18; 91-26-80; 38-77-37; 877 99 09 40; 899 54 54 10

ხურციძე ისევ გადაიდო

ქუთაისის „ტორპედოს“ ბედი ისევ ჰაერშია გამოკიდებული. რიონისპირული კლუბის პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე კარგა ხანია, დაჭერილია. მისი სასამართლო პროცესი 12 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ გუშინდელი დღისთვის გადიდო. „ტორპედოც“ თავის პრეზიდენტს გუშინ ელოდა, მაგრამ... სასამართლო გაურკვეველი ვადით ისევ გადაიდო.

ასეა თუ ისე, „ტორპედო“ კვლავაც პრეზიდენტის და მომავლის მოლოდინშია. გავრცელებული ხმებით, ქუთაისური გუნდით რამდენიმე ბიზნესმენი დაინტერესდა, თუმცა ასეთ სიტუაციაში მათ კლუბის შესყიდვის უფლება არა აქვთ. იმასაც ამბობენ, ხურციძის გათავისუფლება შეგნებულად ფერხდება, რადგან დაინტერესებულთ გარკვეული დროის შემდეგ უპრობლემოდ შეეძლებათ „ტორპედოს“ ხელში ჩაგდებაო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

აქ განისვენებს კაცი, რომელმაც კაკა არ გაყიდა



ასე თუ გააგრძელეს, რამონ კალდერონი და ადრიანო გალიანი საფლავზე დასადები მარმარილოს ფილების წარმატებულ ბიზნესს ჩაუდგებიან სათავეში. მადრიდის „რეალის" პრეზიდენტისა და „მილანის" ვიცე-პრეზიდენტის, ასე ვთქვათ, ნეკროლოგიურმა დაპირისპირებამ ფრიად სახიფათო ხასიათი მიიღო. ყველაფერში კი „მილანის" ბრაზილიელი ფორვარდი კაკაა დამნაშავე, თუმცა ჯობს თავიდან დავიწყოთ.

ორი კვირის წინ სენიორ კალდერონი მადრიდში პრესკონფერენციას ატარებდა და იქ მავანმა „ასის" თუ „მარკას" ჟურნალისტებმა სამეფო თეთრების თავკაცს ჯიქური შეკითხვა ატაკა — რატომ მოგვატყუე და საპრეზიდენტო არჩევნების დროს დააპირებული კაკა „მილანიდან" „რეალში" არ გადმოიყვანეო. კალდერონისთვის ასე სამეფო გუნდის ინჩასებს და ესპანელ კორესპონდენტებს იქამდეც ხშირად მიუმართავთ, თუმცა „რეალის" ელეგანტური თავკაცი მაინც და მაინც იმ დღეს გაცეცხლდა და წყობიდან გამოვიდა — „თქვენ მე სიგიჟემდე მიმიყვანთ! — მოდით, ასე მოვიქცეთ, თუ „რეალში" კაკას მოყვანა მართლა ვერ შევძელი, შეგიძლიათ, როცა მოვკვდები საფლავის ქვაზე დამაწეროთ — „აქ წევს კაცი, რომელმაც მადრიდში კაკა ვერ მოიყვანა!" — იყვირა ნერვებმოშლილმა პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, ეს ორი კვირის წინ იყო.

გადის რამდენიმე დღე და „რეალი" სატელევიზიო გიგანტ „მედია პროსთან" ჭკუისდამკარგავ კონტრაქტს (მილიარდ ასი მილიონი ევრო შემოსავლით) აფორმებს. ამით გამხნევებული კალდერონი საპრესკონფერენციო დარბაზში მშვიდად, ისე, რომ ძველი ბრაზის ნიშანწყალი არ ეტყობა, აცხადებს: „მედია პროსთან" მართლაც სარფიან შეთანხმებას მივაღწიეთ. ფული ახლა ტრანსფერებისთვის საკმარისად გვაქვს — ყოველ შემთხვევაში, როცა დრო მოვა, ჩემს საფლავზე არ წაიკითხავთ „აქ წევს კაცი, რომელმაც მადრიდში კაკა ვერ მოიყვანაო". ეს კი ერთი კვირის წინ იყო.

და აი, გადის კიდევ ორიოდე დღე და სცენაზე უკვე „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი შემოდის. აპენინელი ეტყობა, მადრიდელის ენაკვიმატობამ გააღიზიანა და გალიანმაც ასე უთხრა იტალიელ ჟურნალისტებს: „კაკას გაშვებას ჩვენ „მილანიდან" არ ვაპირებთ და „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლას არც თავად ფეხბურთელი გეგმავს. რამონ კალდერონს კი პასუხს თავისსავე სტილში გაცემ — როცა მილანში ადრიანო გალიანის საფლავთან მიხვალთ (აქ „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა მაგიდაზე სამჯერ დააკაკუნა და ფუი ეშმაკსო, თქვა) ქვაზე წარწერას აუცილებლად შენიშნავთ — აქ განისვენებს გალიანი, კაცი, რომელმაც კაკა „მილანში" შეინარჩუნა".

საფლავის ქვების შესახებ თავად კაკა რას ამბობს, ჯერჯერობით უცნობია.

ლადო ხომერიკი

ცნობილმა არგენტინელმა ფორვარდმა ერნან კრესპომ ერთი შეხედვით მეტად უცნაური რამ განაცხადა — ვერ გამიგია, თავდამსხმელები „ჩელსიში" რატომ გადადიანო. შეგახსენებთ, რომ კრესპო თავად გახლდათ ლონდონის გუნდის თავდამსხმელი, რომელმაც „ლურჯების" შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა.

კრესპოსა და „ჩელსის" ურთიერთობა უპირატესად მართლაც ფეხბურთელის ლონდონიდან გაქცევის მცდელობებისგან შედგებოდა — ჯერ იყო და ერთი სეზონი „მილანში" გააქირავებინა თავი, ამ ზაფხულს კი „ინტერში" გადაბრაგდა.

მოგეხსენებათ, კრესპოს სანაცვლოდ „ლურჯებმა" „მილანისგან" ანდრეი შევჩენკო იყიდეს, მაგრამ ჯერჯერობით ჟოზე მაურინიუს გუნდს ვერც შევჩენკო შეეგუა — უკრაინელმა ვარსკვლავმა მხოლოდ ექვ პრემიერლიგურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, თუმცა აცხადებს, რომ რწმენითაა აღსავსე და მომავლისა სჯერა. ერთი სიტყვით, შევჩენკოს „ჩელსისთან" ვერშერწყმული ფორვარდების, კრესპოს, მატია კეჟმანისა და ადრიან მუტუს გვერდით ხსენება ჯერ ნაადრევია, მაგრამ არგენტინელს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ ყველაფერზე თავისი აზრი ავს:

„ლონდონში უარყოფითი გამოცდილება მივიღე. თავიდან ყველაფერი ჩინებულად ჩანდა, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა. ახლა ჩემთვის სრულიად გაუგებარია თუ თავდამსხმელი თავის გუნდში ბედნიერია, რატომ უნდა წავიდეს „ჩელსიში". პრემიერლიგას პატივს ვცემ, მაგრამ მე და ჩემს ოჯახს იტალიაში ცხოვრება გვირჩევნია".

კაკუნა კედია

შევა მილანში ვერ შევა

იმაზე ლაპარაკი, რომ ზაფხულში 30 მილიონ გირვანქად „მილანიდან" „ჩელსიში" გადასული ანდრეი შევჩენკო ინგლისურ ფეხბურთს ჯერ ვერ შეეგუა და სათანადოდ ვერ თამაშობს, უკვე დამღლელიც ხდება. თუმცა ფაქტია, უკრაინელი ამჟამად ლონდონელთა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილია და ძველებურად ბევრი გოლი ვეღარ გააქვს. ამის გამო ბოლო დროს გავრცელდა ჭორები, შესაძლოა, შევჩენკომ უკვე იანვარშივე დატოვოს „სტემფორდ ბრიჯი" და ეგებ „მილანსაც" კი დაუბრუნდეს, რომელიც თავდამსხმელს ეძებსო. ითქვა ისიც, რომ „როსონერი" მას სეზონის ბოლომდე ინათხოვრებს, მაგრამ იტალიური კლუბის უფროსობა ამას უარყოფს.

„კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის სურს, კიდევ ერთხელ თქვას, რომ მას არანაირი მოლაპარაკება არ ჰქონია „ჩელსისთან" ანდრეი შევჩენკოს ყიდვისა ან თხოვების თაობაზე. ეს ტექნიკურადაც შეუძლებელია, რადგან გუნდში არაევროკავშირელი ქვეყნების წარმომადგენელთა ლიმიტი უკვე შევსებულია" — ნათქვამია „მილანის" ოფიციალურ განცხადებაში.

თავად უკრაინელმა კი ოთხშაბათს „ბოლტონთან" მოგებული მატჩის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ყოველთვის 100 პროცენტით ვიხარჯები და ახალი გამარჯვებები მწყურია, „ჩელსისთან" ერთად. დიდ პატივს ვცემ კლუბს, ქომაგებს, მთლიანად ინგლისურ ფეხბურთსა და ამ ქვეყნის კულტურას. ფეხბურთელის ცხოვრებაში მუდამ არის კარგი და ცუდი პერიოდები, ეს ნორმალურია და მეც კრიტიკას გაგებით ვხვდები. იმედია, მალე ძველებურად ავთამაშდები".

ძოკი ბანდელაძე

მახინჯი ხარ

„ლივერპულის" თავდამსხმელი კრეიგ ბელამი კარდიფის სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო — „სარბიელის" მკითხველს ეხსომება, რომ ბელამის ორ თინეიჯერ ქალთან ღამის კლუბში ჩხუბი ედებოდა ბრალად. უელსის ნაკრების 27 წლის თავდამსხმელი 5 თებერვალს კარდიფის N10 ღამის კლუბში გახლდათ, სადაც 19 წლის სოფი პალმერსა და 18 წლის ჰოლი სმიტს გადაეყარა, მაგრამ...

„ამ საქმეში თქვენი რაიმე სერიოზულ დარღვევაში დადანაშაულება შეუძლებელია და ამიტომ წაყენებულ ორ ბრალდებას გიხსნით" — უთხრა ბელამის მოსამართლე ჯონ ჩარლზმა. ბრალდება მოუხსნეს ბელამის 52 წლის მეგობარს ფრანკლინ ლინჩსაც.

ბელამის მონაყოლის მიხედვით ამბავი, რომელიც თემიდის გასარჩევი შეიქნა ასე განვითარებულა: ღამის კლუბის **VIP** ზონის ვიწრო გასავლელში ის და პალმერი შემთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს. პალმერს უკითხავს მე ხომ არ მეძებო, ბელამის კი უპასუხია, რომ თუ ვინმეს ძებნას მოინდომებდა, უმალ იქით მსხდომი ორი გოგოსი და არა მისი. ისინი შენზე გაცილებით ლამაზები არიანო, ასე უთქვამს ვაჟს, რაზეც ალიყური მიუღია.

ფეხბურთელის თქმით ამის შემდეგ დიდი გინება ამტყდარა, ხოლო პალმერი აცხადებს, რომ ბელამი მის მერე ჰოლი სმიტზე გადასულა და იგი საყელოთი დაუთრევია, ხოლო რაც შეეხება თავად მას, იგი კედელთან მიუყენებია და ყელში წვდომია, თუმცა ამასობაში საქმეში ლინჩი ჩარეულა და ლივერპულელი დაუშოშმინებია. პალმერი ამტკიცებს, რომ ამ ინციდენტის გამო მას მკლავი და კისერი ეტკინა, ხოლო ახალნაოპერაციევი მკერდიდან სისხლიც წამოუვიდა, თუმცა ბელამის ადვოკატის მეტიუ დე მეიდის განცხადების სასამართლომ დაიჯერა, რომ ფეხბურთელს ცუდი არაფერი ჩაუდენია, ხოლო ქალმა მას სილა გააწნა.

ახლა კი ორიოდ სიტყვით კრეიგ ბელამის შესახებ: დაბადებით კარდიფელი თავდამსხმელი „ლივერპულში" „ბლექბერნ როვერსიდან" ივნისში 6 მილიონი გირვანქის ანუ 8.9 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. იგი წინააღმდეგობრივ ადამიანად ითვლება და როგორც მოედანზე ასევე მის გარეთ ხშირად ეხვევა შარში. მაგალითად, 2003 წლის მარტში ის კარდიფის ერთ-ერთი გარეუბნის ღამის კლუბში ატეხილი აყალმაყალისთვის 750 გირვანქით დააჯარიმეს და ეს სულაც არ ყოფილა მის ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი დებოში.

ბელამის უელსის ნაკრებში 33 შეხვედრა გაუმართავს და 9 გოლი გაუტანია. ის უელსელთა კაპიტანი გახლავთ, ხოლო „ლივერპულის" შემადგენლობაში ამ სეზონში 18 შეხვედრაში ორი გოლი აქვს შეგდებული.

ბელამი სასამართლოდან პირნათელი გამოვიდა

კაკუნა კედია

შეჯევა ომის წინ

ბარსა კლოზინიოს აბრუებს

5 დეკემბერს მიროსლავ კლოზე „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასთვის“ „ვერდერის“ ყველაზე სახიფათო იარაღი იქნება. გერმანიაში სჯერათ, რომ „კლოზინიო“ გოლებს გაიტანს და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც „ვერდერი“ გავა, რაც ავტომატურად ჯგუფური ეტაპიდან „ბარსას“ გაგდებას ნიშნავს. კატალანთა და ალემანთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომია მოსალოდნელი, გერმანული მედია კი ამ დროს აცხადებს, რომ შეიძლება, სამომავლოდ კლოზე „ბარსას“ ფორვარდი გახდეს.

გუშინწინ „ბილდში“ დაიწერა, რომ როდესაც „კლოზინიოს“ მომავალ ზაფხულს „მუსიკოსებთან“ კონტრაქტი დაუმთავრდება, იგი კარიერას, სავარაუდოდ, კატალონიურ გრანდში გააგრძელებს. „ბილდის“ ცნობით, „ვერდერის“ ფორვარდის გადასაბირებლად „ბარსას“ აგენტები სერიოზულად მუშაობენ.

მირო კლოზე „ბარსელონას“ სატრანსფერო სამიზნეზე ამ ბოლო წლებში სულ ხვდებოდა, თუმცა ფეხბურთელსა და კატალონიელ აგენტებს შორის ჯერჯერობით უკანასნკელი სერიოზული მოლაპარაკება სამი წლის წინ გაიმართა, როცა „მუსიკოსების“ დღევანდელი ლიდერი „კაიზერსლაუტერნის“ წევრი გახლდათ. ახლა კი „ბილდი“ აცხადებს, რომ ხუან ლაპორტას ბანაკს კლოზესადმი სიყვარული უფრო გაუძლიერდა და მომავალ ზაფხულს ფორვარდი ლურჯ-ბროწეულისფრად უნდა „გადაღებონ“... და ეს მაშინ, როცა „ვერდერს“ და „ბარსას“ შორის მრისხანე საჩემპიონთალიგო ჯახი ელოდებათ.

გერმანელ თავდამსხმელს სამომავლო ბარსელონელობაზე გადაჭრით უარი არ უთქვამს, და არც „კამპ ნოუზე“ თამაშით უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნებიო. „მეკითხებით, მხიბლავს თუ არა მომავალ სეზონში „ბარსელონაში“ ბურთაობის პრესპექტივა? გიპასუხებთ, რომ კი, მაგრამ ამჟამად „ბარსას“ წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მატჩი მელოდება და ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ“ — უთხრა „კლოზინიომ“ ჟურნალისტებს.

კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივო“ კი გვამცნობს, რომ მირო, მიუხედავად „მუსიკოსებთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტისა, 2007-ს ზაფხულში „ვერდერს“ და საერთოდ ბუნდესლიგას დატოვებს. საშობაო არდადეგებზე კლოზე და კლუბის წარმომადგენლები მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდებიან, რათა კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში უცხო კლუბის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა დაადგინონ. „მუნდო დეპორტივოსვე“ ცნობით, გერმანული კლუბი „კლოზინიოს“ გამოსასყიდად დიდძალ ფულს დააწესებს, რადგანაც ეს 2006 წლის მუნდიალის საუკეთესო მეგოლის სარფიანად გაყიდვის უკანასკნელი შანსი იქნება.

გერმანიის ნაკრების ჩაუქ ფორვარდზე მარტო „ბარსელონა“ არ ნადირობს. იტალიაში ამტკიცებენ, რომ კლოზე „იუვენტუსში“ დავიდ ტრეზეგეს ადგილს დაიკავებს (თუმცა ფეხბურთელთან დაახლოვებულმა პირებმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს), ხოლო „ბაიერნს“ მიროსადმი სიმპათიები ჯერ არ განელებია. თუმცა „კლოზინიომ“ იცის, რომ ეს მისი უცხოურ ლიგაში გადასვლის ბოლო შანსია და საეჭვოა, ბავარიელთა შეთავაზებას დათანხმდეს.

და, რა თქმა უნდა, „ჩელსი“. აბრამოვიჩის გარეშე მსოფლიო ფეხბურთს რაღა ფასი აქვს და „სტემფორდ ბრიჯის“ დამკვირვებლებმაც გერმანელს თავიანთი გამჭრიახი მზერა მიაპყრეს — ფიზიკურად ძლიერია, სწრაფი, მოქნილი და ინგლისურ პრემიერლიგას ბრწყინვალედ შეეწყობა.

ასე რომ, კლოზე მთელ ევროპას უნდა, იმ „ბარსელონასაც“ კი, რომელსაც სამშაბათს ყველაზე მეტად მისი გოლების უნდა ეშინოდეს.

ლადო ხომერიკი

ფერნანდო გაგოს „რეალში“ გადასვლა თითქმის მოგვარებულია

სოკოში ნაყიდი გაგო

მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი და „ბოკა ხუნიორსის“ ფეხბურთელ ფერნანდო გაგოს აგენტი მარსელო ლომბილია ერთმანეთს მადრიდულ რესტორან „სოკოში“ შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ გაგო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადავა და 2012 წლამდე „რეალში“ ითამაშებს. საქმე თითქმის გადაწყვეტილია, ახლა მხოლოდ კონტრაქტის დეტალების გარკვევაღა დარჩა — „რეალი“ ფერნანდოში 15 მილიონ ევროს იმეტებს, „ბოკას“ პრეზიდენტი მაურისიო მაკრი კი 20 მილიონს ითხოვს.

ფერნანდო გაგო საათებს ითვლის, სანამ „რეალის“ ფეხბურთელი ოფიციალურად გახდება. „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველს ოთხშაბათს თავის წარმომადგენლის, მარსელო ლომბილიას სატელეფონო ზარმაც შეასხა ფრთები. სენიორ ლომბილიამ თავის ფეხბურთელს შეატყობინა, რომ პრედგარ მიატოვიჩთან შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა ტრანსფერის გაჩარხვას ხელს მხოლოდ მცირე დეტალი, გაგოს ფასის დადგენა უშლის.

მარსელო ლომბილიამ პრედრაგ მიატოვიჩს „სოკოში“ ის უთხრა, რასაც „რეალის“ პრეზიდენტი კალდერონი ამდენ ხანს ელოდა: „გაგოს მაურისიო მაკრიმ „ჩელსის“, „მილანისა“ და „ბარსელონას“ სატრანსფერო შეთავაზებები გააცნო, მაგრამ ბიჭმა პრეზიდენტს უთხრა, რომ ბუენოს აირესს მხოლოდ მადრიდის „რეალის“ გულისთვის დატოვებს“.

ამან ლომბილიასა და მიატოვიჩის შეთანხმება დააჩქარა. გაგო არგენტინულ აპერტურას „ბოკა ხუნიორსთან“ ერთად სავარაუდოდ მალე მოიგებს და საჩემპიონო ზეიმის შემდეგ ჟურნალისტებს ეტყვის, თუ როგორ უარყო ლონდონური (ჟოზე მაურინიუ აბრამოვიჩს მის შეძენას დაჟინებით სთხოვდა), მილანური (ვაი თუ, „სან სიროდან“ კაკა მაინც წავიდა — ასეთ შემთხვევაში გალიანის ზურგის მომაგრება გაგოთი სურდა) და ბარსელონური (მაკრი შაბათს კატალონიაში გახლდათ, მაგრამ ხუან ლაპორტასთან საერთო ენა ვერ გამონახა) შეთავაზებები. გაგოს სურს, ახალ ფერნანდო რედონდოდ გადაიქცეს და ამაში ხელს ვერაფერი შეუშლის.

ეს „ბოკა ხუნიორსი“, იქით კი მეორე პატაგონიური გრანდი და „ლა ბონბონერას“ გუნდის მტერი „რივერ პლეიტი“ ეძებს გონსალო იგუაინის სავარაუდო შემცვლელს. „მონუმენტალზე“ იცან, რომ გონსალოს „რეალში“ გადაბარგება გარდაუვალია — „პაპიტა“ მალე სათამაშოდ ევროპაში გაიქცევა და სამეფო გუნდის თეთრ ფორმასაც მოირგებს. აპერტურას დასრულებამდე „რივერს“ კიდევ ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი, მაგრამ „მილიონარიოსის“ თავკაცები უსიამოვნო სურპრიზების თავიდან ასაცილებლად იგუაინის შემცვლელს ძებნას აქედანვე იწყებენ. „რივერ პლეიტი“ ახლა „ნიუელს ოლდ ბოისის“ პარაგვაელ თავდამსხმელ ოსკარ კარდოზოს აკვირდება, თუმცა არაა გამორიცხული, არგენტინული გუნდის თავდასხმაში გონსალო იგუაინის ადგილი „პიოხო“ ლოპესმაც დაიკავოს.

„რივერი“ უკვე შეეგუა, რომ 2 იანვარს მარ დელ პლატასკენ მიმავალ ავტობუსში გონსალო იგუაინი აღარ იქნება. მარ დელ პლატაში „რივერ პლეიტი“ სასეზონთაშორისო მზადებას გაივლის და კლაუსურაში და კოპა ლიბერტადორესზე ღირსეულად გამოსვლისთვის ივარჯიშებს. ზუსტად ამ დროს თუ რამე სასწაული არ მოხდა, „პიპიტა“ უკვე მადრიდელი იქნება, თუმცა კლუბები ჯერ კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე არ შეთანხმებულან.

ნებისმიერ შემთხვევაში კლუბის უფროსობა იგუაინში აღებულ ფულს ახალ ტრანსფერებში დახარჯავს. შეიძლება ორი ფორვარდიც კი იყიდონ — პირადი პრობლემების გამო არიელ ორგეტაც გუნდიდან წასვლას გეგმავს. „რივერ პლეიტს“ ასევე მარცხენა ნახევარმცველი და ცენტრალური მცველიც სჭირდება.

ლადო ხომერიკი

ოლივეირამ 844-ზე დარეკა

იტალიურმა „მილანმა“ წარუმატებელი პერიოდის მერე ზედიზედ ორი მატჩი მოიგო - ერთი სერია A-ში „მესინასთან“და მეორე ქვეყნის თასზე - „ბრეშასთან“. „როსონერის“ „ბრეშასთან“ პირველი მატჩი შინ 4:2 ჰქონდა მოგებული, ბოლო საპასუხოში 2:1 იმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა. მეტოქის კარში მეორე გოლი რიკარდო ოლივეირამ გაიტანა, რითაც ბრაზილიელი ფორვარდი ძალიან კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ ნავსი უკვე გატეხა.

მოგეხსენებათ, „მილანს“ ამ სეზონში სერიოზული პრობლემები აქვს, განსაკუთრებით, თავდასხმაში. კლუბის ფორვარდები გოლის გატანას თითქმის ვერ ახერხებენ. თავად ოლივეირამ, რაც „მილანშია“, მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა სერია A-ს პირველ ტურში „ლაციოსთან“ შეხვედრაში.

რიკარდო ოლივეირა: „მთავარია, მოვიგეთ, თან გოლი მეც გავიტანე. ფორვარდისთვის გოლი უმნიშვნელოვანესია და, როგორც იქნა, ნავსი გავტეხე. 844 წუთის განმავლობაში არ გამეტანა, რაც ძალიან დიდი დროა და ჩემს კარიერაში პირველად მოხდა. წარმატებები წინ გვაქვს. „მილანი“ ბრწყინვალე კლუბია, დიდი პოტენციალი აქვს და თუ შრომას ასევე გავაგრძელებთ, ვითარება გმოსწორდება. მით უმეტს, ფანებიც მხარში გვიდგანან.“

როგორც იცით, ბრაზილიელს სამშობლოში ოქტომბერში და მოსტაცეს ფულის გამოძალვის მიზნით და ჯერაც უცნობია, სად იმყოფება იგი.

„თამაშსა და ვარჯიშზე უნდა ვიფიქრო. ბრაზილიაში ხშირად ვრეკავ და ახლობლებთან კონტაქტი მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგი ჯერ არაფერი ისმის. ვცდილობ, ამაზე მაქსიმალურად ცოტა ვიფიქრო და მთელი ყურადღება „მილანზე“ გადავიტანო. თანაგუნდელებიც მეხმარებიან და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება“ — დასძინა ოლივეირამ.

სხვა „მილანური“ ამბებიდან ალესნდრო ნესტასა და სერჟინიოს მოსალოდნელი ოპერაციები ვახსენოთ. ექიმების თქმით, ორივე მათგანს ქირურგიული ჩარევა სჭირდება, რის მერეც ორთვიანი სარეაბილიტაციო კურსის გავლა მოუწევთ.



გიორგი კაკაბაძე

კრიტიკოსებო, შეიხედეთ კანავაროს სახლში!

„ოქროს ბურთის“ წლევანდელმა ლაურეატმა ფაბიო კანავარომ, სანამ საფრანგეთში საპატიო ჯილდოს გადასცემდნენ, ჟურნალისტებს ვაჟკაცურად განუცხადა: „ფორმის შენარჩუნებას ვცდილობ, ბევრი მძინავს, კარგად ვიკვებები და ცოტა-ცოტა სექსი“. მაშინ პარიზში კანავაროს სექსუალური თავგადასავლებისთვის არავის ეცალა, ყურადღება ყველას „ოქროს ბურთზე“ ჰქონდა გადატანილი და იტალიელების უცნაური განცხადებაც უინტერესოდ მიიჩქმალა. მადრიდში ჯილდოთი დაბრუნებულ ფეხბურთელს კი იქაურმა ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა პრესკონფერენციაზე მოურიდებლად ჰკითხეს — სექსთან საერთოდ მწყრალად ხართ, თუ პარიზში ის თქვენი ნათქვამი რაღას ნიშნავდაო. მედიას კანავარომ რაც უპასუხა ამ ინტერვიუში გაიგებთ

— ჯილდოს საღ ინახავთ?

— სახლში საიმედო ადგილზე მაქვს შენახული. ისე, საკმაოდ მძიმეა...

— გაზეთებში თქვენს წინააღმდეგ აგორებულ კრიტიკის ტალღაზე რას გვეტყვით?

— ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ვწუხვარ, რომ ხალხს ცუდი მახსოვრობა აქვს. „იუვენტუსში“ ორი ტიტული მოვიგე, მუნდიალზე თვლიდნენ, რომ მსოფლიოს საუკეთესო მცველი ვიყავი, ახლა ამბობენ — „როგორ შეიძლებოდა „ოქროს ბურთის“ მცველისთვის გადაცემა“... ჩემთვის კი, ასეთი ჯილდოს მოგება ასრულებული სიზმარია, წარმოიდგინეთ, მართლა რა ძნელია, მცველმა რომ „ოქროს ბურთი“ მოიპოვოს.

— ჟერარ ულიემ, არიგო საკიმ და რაიმონ დომენეკმა გაგაკრიტიკეს...

— ულიე ყვიროდა ეს ბარბაროსობააო. ფრანგ მწვრთნელს პატივს ვცემ, მაგრამ არც ბარბაროსი ვარ და ჯილდოც დღეს ჩემს სახლში ინახება.

— იცით, რომ ფიფას ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობის სამ კანდიდატში ხართ?

— ვიცი და ეს დაუჯერებელია. ბევრი ფიქრობს, რომ ეს შემთხვევით მოხდა. „რეალში“ ისე კარგად ვეღარ ვითამაშე, როგორც მუნდიალზე, თუმცა, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ „ოქროს ბურთი“ მე რომ მომცეს. გამოდის, ჯილდოს მოგება ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია. ადრე კი „ოქროს ბურთს“ და სხვა ინდივიდუალურ ტიტულებს მარტო ტექნიკურ მობურთალებს აძლევდნენ. მომიტევეთ, მაგრამ მცველები რა, ფეხბურთს სხვაზე ცუდად ვთამაშობთ? ბარეზი, იერო, მალდინი, ტურამი — ამ ხალხს დაფასება რატომ უნდა აკლდეს?

— ფიფას ჯილდოს მოპოვების იმედი გაქვთ?

— აქ განსხვავებული სისტემა მოქმედებს. „ოქროს ბურთს“ ჟურნალისტები გადასცემენ, ფიფას ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას კი — მწვრთნელები და ნაკრებების კაპიტნები. პერსონალურად ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი ჯილდო იქნება, მაგრამ არა აუცილებელი. დღეს მადრიდის „რეალში“ ვარ და ამ გუნდის წარმატებაზე უფრო ვფიქრობ.

— ფიფას გამოკითხვაში ხმა ვის მიეცით?

— მოდით, ეს საიდუმლოდ დარჩეს.

— მცველები მსოფლიო ფეხბურთის... ობლები ხართ?

— ახლა უკვე არა. ბოლოს და ბოლოს თქვენს წინ მცველი ზის, რომელმაც „ოქროს ბურთი“ მოიგო. უკანასკნელს კარის დაცვა ევალება და თუ მცველმა თავისი საქმე ცუდად შეასრულა, მისი გუნდი თამაშს ვერ მოიგებს.

— ფერნანდო იერო „ოქროს ბურთს“ იმსახურებდა?

— იერო ბრწყინვალე გახლდათ. რობერტო კარლოსმაც ყველაფერი მოიგო, მაგრამ სულ ფორვარდების ჩრდილში რჩებოდა.

— მადრიდში ჯილდოთი დაბრუნებულს თანაგუნდელები როგორ შეგხვდნენ?

— ყველა ბედნიერია. იტალიიდანაც ბევრი დამიკავშირდა და გულითადად მომილოცა. განსაკუთრებით ძვირფასი ჩემი მეუღლის მილოცვა გახლდათ.

— ამბობენ, რომ თქვენი წარმატების საიდუმლო კარგი კვება, დიდხანს ძილი და სექსისგან ხშირად თავის შეკავებაა. სექსზე საერთოდ უარს ამბობთ თუ...

— უარს არავითარ შემთხვევაში, თუმცა რადგან სპორტსმენმა თავისი ცხოვრება უნდა აკონტროლოს, სექსშიც, როგორ გითხრათ, ზომიერებას ვიცავ. ზედმეტი ცხოვრებაში არაფერი ვარგა.

— როგორ ფიქრობთ, „ოქროს ბურთზე“ თქვენი მემკვიდრე ვინ იქნება?

— პუიოლის და სერხიო რამოსის თამაში მომწონს, თუმცა ამ ფეხბურთელებს ჯილდოს მისაღებად უნდა გაუმართლოთ — მათმა ნაკრებმა მუნდიალის ოქროს მედლები უნდა მოიგონ.

— „რეალში“ თქვენ ზიდანის მემკვიდრე ხართ?

— არა. პრობლემა ის არის, რომ ყველა ზიდანად მთვლის, მე კი თამაშის ჩემი სტილი მაქვს. ფაბიო კანავარო მხოლოდ ერთი კარგი მცველია.

— თქვენი „ოქროს ბურთი“ ნეაპოლელ ბავშვებს მიუძღვენით. ასე რატომ მოიქეცით?

— თამაში ნეაპოლის ქუჩებში ვისწავლე. იქაურებს ახლა უჭირთ და ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

ჰელმესთვის სულ ერთია: რონალდინიო ერთადერთია

„ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, „ფრანს ფუტბოლმა“ თავის „ოქროს ბურთი“ ვის მისცა ან ფიფას ვერსიით, საუკეთესო ფეხბურთელი ვინ იქნება. მაგალითად, ლეო მესი კარგი ფეხბურთელია, რობინიოსაც დიდი მომავალი აქვს, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი სადღეისოდ მაინც რონალდინიოა“ — განუცხადა ლეგენდარულმა ჰელემ სინგაპურის ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტებს.

ფეხბურთის მეფემ რონალდინიოსა და მესიზე საუბრის შემდეგ თანამედროვე მსოფლიოს ფეხბურთთან დაკავშირებულ მოვლენებზეც ილაპარაკა. ჰელეს ის აშფოთებს, რომ ფეხბურთელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, თავიანთი კლუბებისადმი ერთგულებას ვერ იჩენენ. „დღეს ახალგაზრდა ფეხბურთელები 6 თვით, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ ითამაშებენ, მომდევნო 6 თვეს „მილანში“ ატარებენ, შემდეგ კი რომელიმე ფრანგულ კლუბში დაიბანაკებენ ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა თაობა ფეხბურთს მხოლოდ ფულის გულისთვის თამაშობს და კლუბისადმი ერთგულება, საერთოდ, არ აინტერესებს. ეს ფეხბურთს დიდ ზიანს მიაყენებს“ — თქვა ედსონ არანტეს დუ ნასიმენტომ. მეფე წარსულს მისტირის: „ჩვენს დროს დიდი ფეხბურთელები, ბეკენბაუერი, ჯორჯ ბესტი და, საერთოდ, თითქმის ყველა მოთამაშე, ერთხელ არჩეული კლუბის ერთგული რჩებოდა. ხალხი წლობით ერთსა და იმავე კლუბში ბურთაობდა და, დღევანდელი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, სხვაგან გაქცევა აზრადაც არ მოსვლიათ“...

რონალდინიო კი მალე, ალბათ, „ბარსელონასთან“ კონტრაქტს გაახანგრძლივებს. კატალონიური „სპორტის“ ცნობით, იანვარში „ბარსას“ პრეზიდენტი ლაპორტა, თავად ფეხბურთელი და რონის ძმა რობერტი და ასისი მოითათბირებენ, რათა კიჭას „კამპ ნოუზე“ ყოფნა 2014 წლამდე დაკანონონ.

„ბარსელონას“ ლიდერი ამჟამად ჯამაგირად სეზონში 8 მილიონ ევროს იღებს. რონალდინიო თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მაღალხელფასიან ფეხბურთელად ითვლება. მისი ჯამაგირი ანრის, ბალაკისა და სხვა ჩაუქებისას ოდნავ ჩამოუვარდება.

სავარაუდოდ, ახალი ხელშეკრულების გაფორმებისას რონის ხელფასსაც მოუმატებენ. ბრაზილიელს ბევრჯერ უთქვამს, კარიერის დასრულებას „ბარსელონაში“ ვაპირებო. „სპორტი“ გვამცნობს, რომ „მილანის“ სატრანსფერო ზრახვათა მიუხედავად, ოკეანისგაღმელი ოსტატი „კამპ ნოუდან“ ფეხის მოცვლას არ გეგმავს.

ლადო ხომერიკი

ჰოლანდიური „ვიტესს“ „დენ ჰაგთან“ ჩაშლილ მატჩში 3:0 გამარჯვება ჩაეთვალა. ეს შეხვედრა 19 ნოემბერს გაიმართა დენ ჰაგში და მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ანგარიში 3:0 იყო სტუმართა სასარგებლოდ, მასპინძელთა ფანები მოედანზე შეიჭრნენ. ეს დამხვდურთა ფეხბურთელის, პასკალ ბოსხარტის გაძევამ გამოიწვია. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია „დენ ჰაგს“ ფულად ჯარიმასაც დაკისრებს. დამარცხებულთა მწვრთნელი ფრანს ადელაარი ინციდენტიდან მეორე დღეს გადადგა და იგი ლექს შიომაკერმა შეცვალა.

იტალიური „ლივორნოს“ ფორვარდი ტომას დანილევიჩუსი ლიტვის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 28 წლის თავდამსხმელმა გამოკითხულთა 562 ხმა მიიღო და გვარიანად ჩამოიტოვა მოსკოვის „დინამოს“ მეკარე ჟიდრუნას კარჩერმარსკასი (261). დანილევიჩუსი წლეულს ნაკრების კაპიტანი გახდა და ხუთი გოლიც მოაგროვა ეროვნულ გუნდში, ხოლო „ლივორნოში“ — სამი. მას ადრე მოსკოვის „დინამოში“, „ლოზანაში“, „არსენალში“, „დანფერმლაინსა“ და „ბევერენში“ უთამაშია.

ბულგარული „ლევსკის“ მეკარე გეორგი პეტკოვი მუხლის ტრავმის გამო „ჩელსისთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩს გამოტოვებს. ნაკრების 30 წლის გოლკიპერმა „ლიტექსთან“ შეხვედრაში იტკინა მუხლი და გუშინ ოპერაცია გაიკეთა. „ლევსკის“ მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა განაცხადა, რომ ლონდონურ მატჩში კარს 19 წლის ბოჟიდარ მირტევი დაიცავს.

ჰოლანდიური „ჰერენვენის“ ნახევარმცველი პოლ ბოსველტი სეზონის ბოლოს კარიერას დასრულებს. „ლე ტელეგრაფთან“ საუბარში ფეხბურთელმა თქვა, რომ ჯანი ხელს აღარ უწყობს. ბოსველტმა კარიერა 1989 წელს „იგლზში“ დაიწყო, საიდანაც 1994-ში „ტვენტეში“ გადავიდა, ხოლო 1997-ში „ფეიენოორდში“. 1999 წელს ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, 2002 წელს კი უეფას თასი მოიგო. ნაკრებში 24-ჯერ უთამაშია და ევროპის (2000 და 2004) ჩემპიონატებზეც მონაწილეობდა.

ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი
ვიტესი 1:3 ჰერენვენი

პსვ	14	12	1	1	40:6	37
აიაქსი	14	10	2	2	43:14	32
ტვენტე	14	10	1	3	30:12	31
ფეიენოორდი	14	8	4	2	32:16	28
გრონინგენი	14	8	2	4	26:26	26
ჰერენვენი	14	7	3	4	27:28	24
როდა	14	7	2	5	25:16	23
უტრეხტი	14	6	3	5	16:18	21
ექსელსიორი	14	5	2	7	20:26	17
ნაიმეგენი	14	4	4	6	23:24	16
ბრედა	14	4	3	7	14:21	15
ჰერაკლესი	14	4	3	7	13:25	15
ვიტესი	14	4	2	8	12:27	14
ტილბურგი	13	4	1	8	19:24	13
სპარტა	14	4	1	9	16:30	13
დენ ჰაგი	14	4	1	9	14:29	13
ვალვაიკი	13	2	2	9	15:23	8
	14	1	5	8	11:31	8

ეჭვმიტანილი რაიანი

ფერგიუსონმა გიგზი სკამით დაასაჩუქრა

ანრის „არსენალმა“ ზედიზედ მეორე თამაში წააგო

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ „ევერტონს“ 3:0 მოუგო და პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. ამ მატჩს წინ ერთვოდა ინგლისურ პრესაში გავრცელებული ჭორები, სერ ალექს ფერიგიუსონი რაიან გიგზს წაეჩხუბაო. მერე თქვეს, ამის გამო უელსელი თავის დაბადების დღეზე სათადარიგოთა სკამზე დატოვაო. ოთხშაბათს გიგზს 33 წელი შეუსრულდა. შოტლანდიელმა სპეციალისტმა ჩხუბი უარყო.

ამბობენ, გიგზს „ჩელსისთან“ მატჩში გაშვებული გოლი დაბრალდა და იგი ფერგიუსონს ამიტომ წაეჩხუბაო. საერთოდ, „წითელი ეშმაკების“ მწვრთნელმა ლონდონელებთან თამაშის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში 5 ცვლილება მოახდინა.

სერ ალექს ფერგიუსონი: „რაიანს კვირასვე ვუთხარი, რომ არ ითამაშებდა. იგი უკვე 33 წლისაა და დასვენება სჭირდება, ისევე როგორც სხვებს. შემავალ ოთხშაბათს „ბენფიკასთან“ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის, რომელსაც გადაღლილები არ უნდა შევხვდეთ. რამდენიმე ცვლილება იძულებითი იყო. მაგალითად, ნემანია ვიდიჩს ტრავმა აქვს, საბედნიეროდ, არცთუ სერიოზული. ცოტა გავრისკეთ კრიშტიანუ რონალდუს შემთხვევაში, მაგრამ მას თამაში უნდოდა და გამართლა კიდეც, რაც კარგია“.

„ევერტონი“ ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს რონალდუს ლამაზი გოლის შემდეგ ლივერპულელები გატყდნენ. მეორე პატრის ევრამ შეაგდო, რომლის ანგარიშზე საგოლე პასიცაა. მან კიდევ ერთხელ სცადა ამით დაემტკიცებინა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებს. წერტილი კი ჯონ ოშიმ დასვა.

„მნიშვნელოვანი იყო, გოლი შესვენებამდე გაგვეტანა, რაც შევძელით. ჯეიმს ბიტი ახლა ჩინებულ ფორმაშია და პრობლემებიც შეგვიქმნა, ისევე როგორც მთლიანად „ევერტონმა“, მაგრამ გატანილი გოლის შემდეგ დავლაგდით. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ“ — დასძინა ფერგიუსონმა.

„ევერტონის“ მწვრთნელი დევიდ მოიესი: „ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით სანამ გოლს გავუშვებდით და ასეთი ანგარიშით წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. არ გაგვიმართლა, თანაც რამდენიმე ლიდერი გვაკლდა“.

„მანჩესტერის“ დევნას აგრძელებს „ჩელსი“, რომელსაც „რიბოკზე“ იოლი გასეირნება არ ჰქონია, მაგრამ მოგება მაინც შეძლო. პირველი საგოლე მომენტი სემ ალარდაისის შეგირდებმა შექმნეს, მაგრამ ნიკი ჰანტმა ახლოდან თავურით ვერ გაიტანა. მერე უკვე ლონდონელები დომინირებდნენ, ხან ძელს გაარტყეს ბურთი, ხანაც იასკელაინენი ყოჩაღობდა. ჟოზე მაურინიუს გუნდმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მაინც მიაღწია მიზანს — ფრენკ ლამპარდის კუთხურიდან ჩაწოდებულს მიხაელ ბალაკმა შეაგება თავი და 0:1. მეორე ნახევარში ბევრი სახიფათო ეპიზოდი აღარ შექმნილა. მასპინძელთა ფრანგ ფორვარდ ნიკოლა ანელკას ორი მეტ-ნაკლებად მწვავე მომენტი კი ჰქონდა, მაგრამ...

„ვთვლი, რომ ეს ჩვენთვის კარგი პერიოდი იყო. გასვლაზე ორი რთული მატჩი გვქონდა და საბოლოოდ „მანჩესტერთან“ განსხვავება ძველებურად სამი ქულაა, რაც მაკმაყოფილებს. არა მგონია, პირველი ადგილის დასაბრუნებლად დიდი დრო დაგვჭირდეს. როცა „მანჩესტერი“ ლონდონში გვესტუმრება, ისევ 3 ქულით წინ რომც იყოს, კარგი იქნება. ყველაფერი ჩვენს ხელშია და ახლა ჩვენი დროა — სიტუაცია უნდა შემოვატრიალოთ. მიყვარს პირველობა, მაგრამ ამჟამინდელი მდგომარეობითაც კმაყოფილი ვარ“ — თქვა მაურინიუმ.

სტუმრად ზედიზედ მესამედ დამარცხდა „არსენალი“. ამჯერად თანაქალაქელ „ფულემთან“. კრის კოულმენის გუნდი მე-19 წუთზე უკვე 2:0-ს იგებდა. ჯერ ბრაიან მაკბრაიდმა შეაგდო თავურით, მერე კი ტომაშ რაძინსკიმ აქტიური ლუიშ ბოა მორტეს პასით. შესვენებამდე რობინ ვან პერსიმ საჯარიმო დარტყმა მშვენივრად შეასრულა და სხვაობა შეამცირა, მაგრამ „მეთოფეებმა“ მეტი ვეღარ შეძლეს. თუმცა ტიერი ანრის ცოტა საეჭვო ოფსაიდის გამო არჩათვლილი ლამაზი გოლიც უნდა ვახსენოთ და ისიც, რომ „არსენალმა“ ფილიპ სენდეროსის გაძევების გამო მატჩი ათი კაცით ჩაამთავრა.

„არ მინდა, მსაჯებს რამე დავაბრალო, მაგრამ ფაქტია, წლეულს ჩვენს წინააღმდეგ ბევრი შეცდომა დაუშვეს. „ვესტ ჰემთან“ და „ბოლტონთან“ სულ მცირე, ქულა უნდა აგვეღო. დღესაც ანრის გოლი არ ჩაუთვალეს. წაგებას ნამდვილად არ ველოდით. მატჩი ჩვენთვის ძალიან ცუდად დაიწყო, დებიუტშივე ორი გოლი გავუშვით“ — თქვა „მეთოფეების“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

კრის კოულმენი: „მთელი თამაშისგან დიდი სიამოვნება მივიღე. დაცვაში არ ჩავმდგარვართ და წესით, მეტი გოლი უნდა გაგვეტანა. საბოლოოდ, დამსახურებულად მოვიგეთ. ეს ჩვენი საუკეთესო მატჩია, რაც „ფულემის“ მწვრთნელი ვარ“.

ისევ დაამწუხრა საკუთარი ქომაგი „ლივერპულმა“. მერსისაიდელებმა შინ „პორტსმუთს“ ვერ მოუგეს. რაფაელ ბენიტესის გუნდი კი დომინირებდა, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ გახლავთ.

„სამწუხაროა, რადგან მოგების შემთხვევაში მესამე ადგილზე გადავდიოდით. ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ გატანა ვერ შევძელით. მეტოქეებმაც ყველაფერი გააკეთა, რათა არ წაეგო. პორტსმუთელებს პირველი წუთებიდანვე გაჰყავდათ დრო“ — აღნიშნა ბენიტესმა.

მანჩესტერი	15	12	2	1	33:7	38
ჩელსი	15	11	2	2	25:6	35
პორტსმუთი	15	7	3	5	19:12	24
ბოლტონი	15	7	3	5	15:14	24
ასტონ ვილა	15	5	8	2	17:13	23
არსენალი	14	6	4	4	22:12	22
ლივერპული	15	6	4	5	15:15	22
რედინგი	14	7	1	6	16:18	22
ევერტონი	15	5	6	4	18:15	21
ფულემი	15	5	5	5	16:21	20
ტოტენჰემი	14	5	4	5	13:16	19
სიტი	15	5	4	6	13:17	19
უიგანი	13	5	3	5	17:16	18
მიდლსბრო	14	4	4	6	11:17	16
ვესტ ჰემი	14	4	2	8	10:16	14
ბლექბერნი	13	3	4	6	11:17	13
ნიუკასლი	14	3	4	7	9:15	13
შეფილდი	15	3	4	8	9:19	13
უოტფორდი	14	1	6	7	10:20	9
ჩარლტონი	14	2	3	9	10:21	9

ბომბარდირები

დროგბა (ჩელსი)	8
კანუ (პორტსმუთი)	8
რუნი (მანჩესტერი)	7
ჯ. დოილი (რედინგი)	7
ლუი საა (მანჩესტერი)	6
ე. ჯონსონი (ევერტონი)	6
დ. ბენტი (ჩარლტონი)	6
ანრი (არსენალი)	6

XVI ტური

2 დეკემბერი

ჩელსი : ნიუკასლი
მიდლსბრო : მანჩესტერი
პორტსმუთი : ასტონ ვილა
რედინგი : ბოლტონი
შეფილდი : ჩარლტონი
უიგანი : ლივერპული
არსენალი : ტოტენჰემი
ბლექბერნი : ფულემი

3 დეკემბერი

ევერტონი : ვესტ ჰემი

4 დეკემბერი

სიტი : უოტფორდი

ჩემპიონატი

XX ტური

ბარნსლი — საუთენდი 2:0, ბარნლი — ლიდსი 2:1, კოლჩესტერი — ჰალი 5:1, ნორვიჩი — ლესტერი 3:1, პლიმუთი — ლუთონი 1:0, პრესტონი — ქოვენთრი 1:1, უენსდი — ვესტ ბრომვიჩი 3:1, სტოკი — კარდიფი 3:0, ვულვზი — კრ. პალასი 1:1, ქუინზ პარკი — სანდერლენდი 1:2, დერბი — იფსვიჩი 2:1, საუთჰემპტონი — ბირმინგემი 4:3

პრესტონი	20	10	8	2	31:17	38
ბირმინგემი	20	11	4	5	29:21	37
დერბი	20	11	4	5	31:24	37
კარდიფი	20	10	5	5	30:20	35
ბარნლი	20	10	4	6	29:21	34
სტოკი	20	9	6	5	29:15	33
საუთჰემპტონი	20	9	6	5	30:22	33
კოლჩესტერი	20	9	3	8	33:25	30
პლიმუთი	20	7	9	4	27:22	30
ვესტ ბრომვიჩი	20	8	5	7	32:23	29
ქოვენთრი	20	9	2	9	20:18	29
ნორვიჩი	20	8	5	7	28:32	29
ვულვზი	20	8	5	7	18:23	29
სანდერლენდი	20	8	3	9	27:27	27
უენსდი	20	7	6	7	24:26	27
იფსვიჩი	20	7	3	10	30:30	24
ქუინზ პარკი	20	6	6	8	31:33	24
კრ. პალასი	20	6	5	9	22:26	23
ლესტერი	20	5	7	8	19:24	22
ლუთონი	20	6	4	10	26:36	22
ბარნსლი	20	6	3	11	25:36	21
ლიდსი	20	6	2	12	22:38	20
ჰალი	20	4	5	11	16:29	17
საუთენდი	20	2	6	12	16:37	12

„ასტონ ვილას“ ამ სეზონში შინ ჯერ არ წაეგო და სულაც ოდენ ერთი მარცხი ჰქონდა, ხოლო „სიტის“ სტუმრად მოგებების კრაფაში ნული ეწერა. სტიუარტ-პირსის შეგირდებმა ბირმინგემელებს 3:1 მოუგეს, რითაც სტატისტიკა შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ „ვილა პარკის“ ბინადრებს პირველი გოლი „ასტონ ვილას“ ყოფილმა კაპიტანმა დარიუს ვასელმა შეაგდო. ეს ვასელის მეხუთე გოლი იყო თავის ყოფილ გუნდთან მეხუთე შეხვედრაში.

გიორგი კაკაბაძე

ინგლისი
პრემიერლიგა
XV ტური

მანჩესტერი 3:0 ევერტონი

1:0 რონალდუ (39), 2:0 ევრა (63), 3:0 ოში (89)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ევრა, ფლეტჩერი, კარიკი (ვ. ბრაუნი 73), ოში, რიჩარდსონი, რუნი, რონალდუ (ჰაინცე 68)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ევერტონი: რაიტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ნუნუ ვალენტე, არტეტა, ფ. ნევილი, კარსლი, ოსმანი (ვუგანი 76), ბიტი, მაკფადენი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ევრა, არტეტა

მსაჯი: ჰალსი

75 723 მაყურებელი

ბოლტონი 0:1 ჩელსი

0:1 ბალაკი (45)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ფეიე, მეიტე, ბენ ჰაიმი, ნოლანი, კამპო, სპიდი, დევისი (ვაზ ტე 76), ანელკა, დიუფი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ჩელსი: კუდიჩინი, ჯერემი, რ. კარვალიუ, ტერი, ეშლი კოული, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი, შევჩენკო (ს. კალუ 77), დროგბა (მიკელი 90)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: კამპო, ფეიე, ნოლანი, კარვალიუ

მსაჯი: ბენეტი

23 559 მაყურებელი

ფულემი 2:1 არსენალი

1:0 მაკბრაიდი (6), 2:0 რაძინსკი (19), 2:1 ვან პერსი (36)

ფულემი: ნიემი, ვოლცი, კრისტენვალი, ნაითი, როსენიორი, მ. ბრაუნი, ბოა მორტე, რაძინსკი (რუტლეჯი 46), დიოპი, ჯ. იენსენი, მაკბრაიდი (ჰელგუსონი 76)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

არსენალი: ლემანი, ჰოიტი, ტურე, სენდეროსი, ფლამინი, როსიცკი (უოლკოტი 61), სონგი (ფაბრეგასი 46), ჟილბერტო სილვა, გლენი (ჯურუ 65), ანრი, ვან პერსი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ბრაუნი, როსენიორი, ბოა მორტე, ჰელგუსონი, სონგი, სენდეროსი, როსიცკი, სენდეროსი, ვან პერსი, ფლამინი

გაძევება: სენდეროსი (66)

მსაჯი: ვები

24 510 მაყურებელი

ლივერპული 0:0 პორტსმუთი

ლივერპული: ხ. რეინა, ფინანი, ჰიიპია, აგერი, რიისე, პენანტი (გუტრიე 84), ჯერარდი, კარაგერი, ლუის გარსია (ელ უარი 72), კრაუჩი (ფაულერი 61), კუტი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

პორტსმუთი: ჯეიმსი, ჰამარო, პრიმუსი, ს. კემბელი, ტეილორი, ტომპსონი, პ. მენდეში (ფერნანდეში 69), ონილი, ჰიუზი, კრანჩარი (ობრაიენი 90), მვარუვარი (კანუ 82)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: პენანტი, ჰიუზი, ტომპსონი, ჰამარო

მსაჯი: ვაილი

42 467 მაყურებელი

ასტონ ვილა 1:3 სიტი

0:1 ვასელი (18), 0:2 ბარტონი (32), 1:2 მაკკანი (66), 1:3 დისტინი (75)

ასტონ ვილა: ტეილორი, მელბერგი, კეჰილი, რიდგუელი, ბუმა (დევისი 63), აგბონლაჰორი, პეტროვი, მაკკანი, ბერი, ანხელი, ბაროში

მწვრთნელი: მარტინ ონილი

სიტი: ვიერი, რიჩარდსი (ონუა 90), დისტინი, დანი, ტეტჩერი, ტრაბელსი (დიკოვი 85), რეინა, ბარტონი, ვასელი, კორადი, სამარასი (ჰამანი 76)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გაფრთხილება: ბერი

მსაჯი: დინი

30 104 მაყურებელი

უოტფორდი 0:1 შეფილდი

0:1 ვებერი (88)

უოტფორდი: ლი, ჩემბერსი, მაკეი, დემერიტი, პაუელი, სპრინგი (დოილი 46), ფრენსისი, მაჰაუნი, მაკსამი (შიტუ 72), სმიტი, ჰენდერსონი

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

შეფილდი: კენი, კოზლუკი, მორგანი, დევისი (ბრომბი 30), გირი, გილესპი, ლიგერტვუდი, იაგიელკა, ა. ქუინი (კაზმირჩარდსი 83), ჰალსი, ნადე (ვებერი 73)

მწვრთნელი: ნილ უორნოკი

გაფრთხილება: მაჰაუნი, ჰენდერსონი, პაუელი, კოზლუკი, პაუელი

გაძევება: პაუელი (90)

მსაჯი: ატკინსონი

18 887 მაყურებელი

უეფას თასი 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

ჰაჩი-ჰუჩი ჰამპლონაში



შოთა არველაძე
სტეინსონს გოლს ულოცავს

„ლივორნო“ — „მაკაბის“ მატჩში პირველი რეალური საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს — რობერტო კოლაუტიმ ტოსკანელთა მეკარე მარკო ამელია მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარში ბურთის ძელისთვის გარტყმა „მოახერხა“. ამან მასპინძლები გამოაფხიზლა და დანიელე არიგონის გუნდი ნელ-ნელა სრულ უპირატესობას დაეუფლა. მე-20 წუთზე ეს გოლითაც დასრულდა — ლივორნოელთა ვეტერანმა ლიდერმა კრისტიანო ლუკარელიმ დარიო პასონის პასით გაიტანა.

აპენინელებს აუცილებლად ამ მატჩის მოგება სჭირდებოდათ და ისინიც ყველანაირად ცდილობდნენ მეორე გოლის გატანას, მაგრამ არ უმართლებდათ, ხანაც „მაკაბის“ მეკარე ნირ დავიდოვიჩი ბრწყინავდა. შეხვედრის მიწურულს შეცვლაზე შესულმა იბრაიმა ბაკაიოკომ ბურთი ხარიხასაც გაარტყა. საბოლოოდ, „ლივორნო“ გამოუყენებელი მომენტებისთვის დაისაჯა, მესამე დამატებულ წუთზე გუსტავო ბოკოლის ჩაწოდებულს კოლაუტის ზუსტი თავური მოჰყვა და 1:1. ამ ქულით მაკაბელები ჯგუფის ლიდერს გლაზგოს „რეინჯერსს“ გაუტოლდნენ და ორივე მათგანს მეთექვსმეტედფინალი განაღდებული აქვს. „ლივორნომ“ კი სტუმრად „ოსერთან“ აუცილებლად გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს, ფრანგებს ხელს ფრეც აძლევთ.

ზემოთ ხსენებული „ოსერი“ დებიუტშივე აგებდა „პარტიზანთან“, მაგრამ ბელგრადელთა იმედები მალევე მოკვდა, 36-ე წუთზე ანგარიში უკვე 1:3 იყო. საბოლოოდ ფრანგებმა იოლად და შთამბეჭდავად იმარჯვეს.

ბუქარესტის „დინამომ“ კიდევ ერთი პატარა სიურპრიზი შემოგვთავაზა. მირჩა რედნიჩის გუნდის დამმარცხებელი ამ სეზონში ჯერ არ ჩანს. „ლევერკუზენს“ მოგება ჰაერივით სჭირდებოდა და 22-ე წუთზე პოლ ფრაიერის ჩაწოდებისა და სერგი ბარბარესის ზუსტი თავურის შემდეგ იგებდა კიდეც. თუმცა საბოლოოდ კლაუდიუ ნიკულესკუს ორი ლამაზი გოლის წყალობით, რუმინელებმა დამსახურებულად იმარჯვეს და ლონდონის „ტოტენჰემთან“ ერთად უკვე მეთექვსმეტედფინალში არიან.

B ჯგუფის მეორე მატჩში „ბეშიქთაშმა“ დრამატულ ბრძოლაში სძლია „ბრიუგეს“. თამაშის მიხედვით, ბელგიელები წაგებას არ იმსახურებდნენ, მათ ორჯერ ხარიხასაც გაარტყეს ბურთი, მაგრამ... სტუმრები ბოშკო ბალაბანის ჰენალტით დაწინაურდნენ. 32-ე წუთზე იბრაჰიმ აკინმა, რომელიც მატჩის მიწურულს გააძევეს, ანგარიში გაათანაბრა. სტამბოლელებს გამარჯვება 70-ე წუთზე რიკარდინიომ, მარსიო ნობრეს წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანით მოუტანა. შედეგად, „ბრიუგე“ ჯგუფში ჩარჩა, ხოლო მესამეადგილოსნის ვინაობა გერმანიაში „ლევერკუზენისა“ და „ბეშიქთაშის“ თამაშში გაირკვევა. თურქებს ფრეც აწყობთ.

დანიელ პუდილამ 26-ე წუთზე კუთხური ჩააწოდა, ხოლო ტომაშ ზაპოტოჩნიმ თავურით „ლიბერეცი“ „ალკმაართან“ საგარეო მატჩში დააწინაურა. მასპინძლებმა ანგარიში 69-ე წუთზე გრეტარ სტეინსონის შორეული და ეფექტური თავურითვე გაათანაბრეს. მატჩის ბოლომდე ხუთი წუთით ადრე ჩეხები ისევ დაწინაურდნენ და თითქოს, გამარჯვებაც გაინაღდეს, მაგრამ შეტევაში დიდი ძალებით წასულმა ჰოლანდიელებმა მაინც შეძლეს ქულის გადარჩენა, რითაც ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს.

მეთექვსმეტედფინალში ადგილი დაიბევა უეფას თასის მფლობელმა ესპანურმა „სევილიამაც“, ხუანდე რამოსის გუნდმა ძალიან იოლად და ლამაზად დაამარცხა „გრასჰოპერი“. გასარკვევი ამ ჯგუფშიც მესამე საგზურის მფლობელის ვინაობაა. „ლიბერეცი“ იმ შემთხვევაში გავა შემდეგ ეტაპზე, თუ პორტუგალიური „ბრაგა“ 14 დეკემბერს შინ უმოტივაციო „გრასჰოპერს“ ვერ მოუგებს, რაც ძნელად სავარაუდოა.

ჩახლართული ვითარებაა **D** ჯგუფში, რაც ფრანგული „ლანსის“ ბრალია, რომელიც ფაქტობრივად მთელი მატჩის მანძილზე საგრძნობ უპირატესობას ფლობდა „პარმასთან“, მაგრამ ბოლო 13 წუთში ორი გოლი გაუშვა. ლანსელები მე-19 წუთზე კარგად ორგანიზებული კონტრიერიშის წყალობით დაწინაურდნენ, რომელიც დანიელ კუზინმა დააგვირგვინა. 77-ე წუთზე ხლატკო დედიჩმა ორი მცველი ჩამოიშორა და ანგარიში გაათანაბრა. ხოლო ბოლო წამებზე შეცვლაზე შესულმა დანიელე პაპონიმ პატრიკ ბარულს ბურთი მოჰპარა და სტუმრებს გამარჯვება მოუტანა, რითაც „პარმამ“ ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა.

პამპლონაში „ოსასუნამ“ „ოდენსეს“ კი მოუგო, მაგრამ ესპანელებს ამისთვის ბევრი ოფლის ღვრა დასჭირდათ, დანიელები საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. ჰაჩი ჰუნალმა ორი გოლი ჯერ მეტოქის კარში გაიტანა, მერე კი საკუთარი მეკარეც დაამწუხრა. წერტილი შეცვლაზე შესულმა ბერნარდო რომეომ დასვა. ამ ჯგუფიდან დარჩენილი ორი მეთექვსმეტედფინალისტის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა. თეორიულ შანსს ოთხივე გუნდი ინარჩუნებს.

A ჯგუფი

ლივორნო 1:1 მაკაბი

1:0 ლუკარელი (20), 1:1 კოლაუტი (90)

პარტიზანი 1:4 ოსერი

1:0 მარინკოვიჩი (5), 1:1 შეირუ (18), 1:2 ნიკულაე (24), 1:3 აკალე (36), 1:4 ბეერონი (82)

რეინჯერსი	3	2	1	0	7:4	7
მაკაბი	4	2	1	1	5:4	7
ოსერი	3	1	1	1	7:6	4
ლივორნო	3	0	2	1	4:5	2
პარტიზანი	3	0	1	2	2:6	1

V ტური. 14 დეკემბერი

რეინჯერსი — პარტიზანი
ოსერი — ლივორნო

B ჯგუფი

ბეშიქთაში 2:1 ბრიუგე

0:1 ბალაბანი (14პ), 1:1 სერჰათი (32), 2:1 რიკარდინიო (70პ)

დინამო 2:1 ლევერკუზენი

0:1 ბარბარესი (22), 1:1 ნიკულესკუ (37, 74)

ტოტენჰემი	3	3	0	0	6:1	9
დინამო	3	2	1	0	5:3	7
ბეშიქთაში	3	1	0	2	3:5	3
ბრიუგე	4	0	2	2	4:7	2
ლევერკუზენი	3	0	1	2	2:4	1

V ტური. 14 დეკემბერი

ტოტენჰემი — დინამო
ლევერკუზენი — ბეშიქთაში

C ჯგუფი

ალკმაარი 2:2 ლიბერეცი

0:1 ზაპოტოჩნი (26), 1:1 სტეინსონი (69), 1:2 პაპოუშეკი (85), 2:2 ფენერი (89)

გრასჰოპერი 0:4 სევილია

0:1, 0:2 ალვეში (12, 53), 0:3 ჩევანტონი (62), 0:4 კეპა (84)

ალკმაარი	3	2	1	0	10:4	7
სევილია	3	2	1	0	6:0	7
ლიბერეცი	4	1	2	1	6:7	5
ბრაგა	3	1	0	2	4:5	3
გრასჰოპერი	3	0	0	3	3:13	0

V ტური. 14 დეკემბერი

ბრაგა — გრასჰოპერი
სევილია — ალკმაარი

D ჯგუფი

ლანსი 1:2 პარმა

1:0 კუზინი (19), 1:1 დედიჩი (77), 1:2 პაპონი (90)

ოსასუნა 3:1 ოდენსე

1:0, 2:0 პუნიალი (28, 67), 2:1 პუნიალი (73ს.კ.) 3:1 რომეო (86)

პარმა	3	3	0	0	6:3	9
ლანსი	3	1	1	1	5:4	4
ოსასუნა	3	1	1	1	4:4	4
ოდენსე	4	1	1	2	2:5	4
ჰერენვენი	3	0	1	2	1:4	1

V ტური. 14 დეკემბერი

პარმა — ოსასუნა
ჰერენვენი — ლანსი

გიორგი კაკაბაძე

ჯილდოს გამორთმევა სავალდებულოა



წელიწადი განა მხოლოდ ევროპაში იწურება, ახალი წელი აზიაშიც ახლოვდება და, შესაბამისად, დაჯილდოვებათა ტალღა ამ კონტინენტსაც შეეხო — აბუ დაბიში 2006 წლის შეჯამებისა და საუკეთესოთა დასახელების ცერემონიალი გაიმართა.

აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად ყატარის ნაკრების ყმაწვილი ფეხბურთელი ხალფან იბრაჰიმი დაასახელეს, ხოლო საუკეთესო გუნდის წოდება ავსტრალიამ მიიღო.

საგანგებო ჯილდო ხვდა ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს. ამ ჯილდოს „აზიის ბრილიანტი“ უწოდეს და ბატონ ბლატერს კონტინენტის ფეხბურთის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის გადასცეს.

„აღელვებული ვარ — ბრძანა პრეზიდენტმა — ჩვენ იმ თამაშს ვემსახურებით, რომელიც სანახაობასა და ჟინზეა დაფუძნებული. გადრა ამისა ფეხბურთი დიდ ბიზნესადაც ჩამოყალიბდა და ამ საქმეში აზიას დიდი ადგილი უჭირავს. ეს კონტინენტი ხომ დედამიწის ორ მესამედზეა გადაჭიმული. მომავალი აზიისაა. როგორც ბრილიანტია მარადიული, ასევე მარადიულია ჩემი თქვენდამი მეგობრობა“.

იბრაჰიმმა, რომელიც „ალ საადში“ თამაშობს საუდელ არაბ მოჰამედ ალ შიჰუბსა და ქუვეითელ ბადრ ალ მუტავას გაასწრო.

„ვერ წარმოვიდგენდი ამ ჯილდოს თუ მივიღებდი — თქვა გამარჯვებულმა — მინდა მადლობა ვუთხრა მშობლებს, განსაკუთრებით კი მამას, რომლის დიდი ღვაწლი რომ არა, ამ სიმაღლეს ვერ მივაღწევდი“.

ცნობისთვის: ხალფან იბრაჰიმის მამა იბრაჰიმ ხალფანი ახალგაზრდობაში ყატარის ნაკრების ფეხბურთელი გახლდათ.

ლაურეატმა თავი პერუში გამართულ 17-წლამდელთა მუნდიალზე გამოიჩინა, ხოლო ჰოლანდიის კარში გატანილი გოლით ყველას თავი დაამახსოვრა.

რაც შეეხება ავსტრალიის ნაკრებს, გასაგებია, თუ რატომ დაასახელეს კონტიტენტის საუკეთესო გუნდად — „სოკერუმ“ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია აზიელთაგან ყველაზე მეტს.

და ბოლოს იმის შესახებ, რომ აზიის საუკეთესო ფეხბურთელს ახალი კრიტერიუმებით ასახელებენ: შემოღებულია შეფასების სისტემა, რომლის თანახმად ეროვნულ ჩემპიონატებს ყურადღებას აღარ აქცევენ (ვთქვათ, რომელიმე აზიელმა ფეხბურთელმა პრემიერლიგაში ან სერია **A**-ში რომ გამოიჩინოს თავი, ამას არ გაითვალისწინებენ), სამაგიეროდ, ითვალისწინებენ აზიის ფეხბურთის ასოციაციის, ფიფასა და უეფას შეჯიბრებებში ნაჩვენებ შედეგებს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს აზიის 45 ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა და ასოციაციის აღმასკომის წევრებმა.

ახალი წესების თანახმად, გამარჯვებული აუცილებლად უნდა დაესწროს დაჯილდოვების ცერემონიალს.

საუკეთესო ქალ ფეხბურთელად ჩინელი მა შიაშუ დაასახელეს.

პაპუნა კედია

სარგებელი 1 კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ინგლისი. პრემიერლიგა

2 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:45	10	არსენალი-ტოტენჰემი	1.55	3.60	5.80	1.08	1.22	2.22
19:00	12	ბლეკბერნი-ფულჰემი	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
19:00	13	პორტსმუთი-ასტონ ვილა	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
19:00	14	რედინგი-ბოლტონი	2.40	3.20	2.80	1.37	1.29	1.49
19:00	15	შეფილდი-სარლტონი	2.15	3.20	3.30	1.28	1.30	1.62
19:00	16	უიგანი-ლივერპული	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
21:15	17	მიდლსბრო-მანჩესტერი	5.50	3.50	1.60	2.13	1.23	1.09

3 დეკემბერი

20:00	19	ევერტონი-ვესტ ჰემი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80

4 დეკემბერი

23:45	20	ხიტი-უოტფორდი	1.70	3.40	4.80	1.13	1.25	1.99

ინგლისი. ჩემპიონატი

2 დეკემბერი

19:00	33	ბირმინგემი-პლიმუთი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
19:00	34	კარდიფი-კოლჩესტერი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
19:00	35	ქოვენთრი-სტოკი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
19:00	36	კრისტალ პალასი-ქჩრ	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
19:00	37	ჰალი-საუთემპტონი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:00	38	იფსვიჩი-ბარნლი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
16:00	39	ლიდსი-ბარნსლი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	40	ლესტერი-უესთი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	41	ლუტონი-პრესტონი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
19:00	42	საუთენდი-ულვერჰემპტონი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
19:00	43	სანდერლენდი-ნორვიჩი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
19:00	44	ვესტ ბრომვიჩი-დერბი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69

ინგლისი. I ლიგა

2 დეკემბერი

19:00	839	რიტერჰემი-იოვილი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54

ინგლისი. II ლიგა

2 დეკემბერი

19:00	840	ავრინგტონი-შრიუსბერი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52

ინგლისი. კონფერენსი

2 დეკემბერი

19:00	46	ალტრინჩამი-ბარტონი	2.40	3.30	2.65	1.38	1.25	1.46
19:00	48	დიგ ენდ რედი-საუთპორტი	1.40	3.90	7.50	1.03	1.17	2.56
19:00	50	ფორესტ გრინი-იორკი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
19:00	51	გრეიფლარ-ჯილფორდსტერი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
19:00	52	ჰალიფექსი-ულვინგი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	54	სტივენეიჯი-იქსფორდი	3.00	3.20	2.15	1.54	1.25	1.28
19:00	56	ვეიმუთი-გრეისი	1.80	3.30	3.85	1.16	1.22	1.77

შოტლანდია. პრემიერლიგა

2 დეკემბერი

19:00	57	სელტიკი-აბერდინი	1.27	4.50	10.00	1.00	1.12	3.10
19:00	59	პიბერნიანი-დანდი იუნ.	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:00	60	ინვერნესი-მიზერველი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
19:00	61	კილმარნოკი-დანფერმლინი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
19:00	62	სტ.მირენი-პარიხი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23

3 დეკემბერი

18:00	63	ფოლკირკი-რეინჯერსი	7.00	3.70	1.45	2.42	1.20	1.04

შოტლანდია. I დივიზიონი

2 დეკემბერი

19:00	64	კლაიდი-ერდრი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	65	დინდი-როსი	1.95	3.30	3.35	1.22	1.23	1.66
19:00	66	გრეტნა-სტ.ჯონსტონი	1.60	3.60	4.70	1.10	1.19	2.03
19:00	67	ჰამილტონი-ლივინგსტონი	2.25	3.30	2.65	1.33	1.21	1.46
19:00	68	პარტიკი-ქუინი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21

შოტლანდია. II დივიზიონი

2 დეკემბერი

19:00	69	ალაა-რეითი	2.20	3.40	2.70	1.33	1.21	1.50
19:00	70	ეარი-ბრეჩინი	2.20	3.40	2.70	1.33	1.21	1.50
19:00	71	კუალენბეთი-სტრანრარი	2.15	3.40	2.80	1.31	1.21	1.53
19:00	72	მორტონი-ფორფარი	1.25	5.00	7.50	1.00	1.07	3.00
19:00	73	პიტერჰედი-სტირლინგი	2.90	3.40	2.10	1.56	1.21	1.29

შოტლანდია. III დივიზიონი

2 დეკემბერი

19:00	74	ალბიონი-დაუმბარტონი	2.85	3.40	2.10	1.55	1.20	1.29
19:00	75	არბროთი-სტენჰაუსმური	2.30	3.40	2.55	1.37	1.20	1.45
19:00	76	ბერიკი-ელგინი	1.45	3.90	5.50	1.05	1.14	2.28
19:00	77	ისტ ფაიფი-ჭუინს პარკი	2.10	3.40	2.90	1.29	1.21	1.56
19:00	78	ისტ სტირლინგი-მონტროუზი	2.45	3.50	2.35	1.44	1.19	1.40

გერმანია

I ბუნდესლიგა

1 დეკემბერი

23:30	79	მაინცი-შტუტგარტი	3.85	3.20	1.90	1.74	1.27	1.19

2 დეკემბერი

18:30	81	ბაიერნი-მიონხენგლადბახი	1.20	5.50	13.00	1.00	1.09	3.86
18:30	83	არმინია-ლეფერკუზენი	2.35	3.20	2.90	1.35	1.29	1.52
18:30	84	ბოხუმი-ჰამბურგი	2.85	3.20	2.35	1.50	1.28	1.35
18:30	85	კოტბუსი -ჰანოვერი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
18:30	86	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
18:30	87	ვერდერი-ჰერთა	1.60	3.60	5.40	1.10	1.23	2.15

3 დეკემბერი

20:00	88	აღლემანია-აინტრახტი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
20:00	89	ნიურნბერგი-შალკე	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28

გერმანია. II ბუნდესლიგა

1 დეკემბერი

21:00	92	კობლენცი-ჰანხა	2.85	3.00	2.30	1.46	1.27	1.30
21:00	93	პადერბორნი-ფრაიბურგი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
21:00	94	ესენი-ფიურტი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37

3 დეკემბერი

17:00	95	ბრაუნშვაიგი-ლაუტერნი	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24
17:00	96	კარლ ცაისი-ბურგაუსენი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
17:00	97	კარლსრუე-აუე	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
17:00	98	იფენბახი-აუგსბურგი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
17:00	99	უნტერჰახინგი-მიუნხენი 1860	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33

4 დეკემბერი

23:15	100	კიელნი-დუისბურგი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

1 დეკემბერი

22:30	102	უნ ბერლინი-ვერდერი(შ)	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
22:30	103	ალენი-ოსნაბრიუკი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
22:30	104	ჰამბურგი(შ)-ლინაბი	2.70	3.10	2.35	1.44	1.25	1.33

2 დეკემბერი

17:00	101	სტ.პაული-მაგდებურგი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
17:00	105	ემდენი-ვუპერტალი	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
17:00	106	�emi(შ)-ლიფციგი(შ)	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
17:00	107	გლადბახი(შ)-დიუსელდორფი	3.10	3.30	2.00	1.59	1.21	1.24
17:00	108	ვოლფსბურგი-ლიუბეკი	2.50	3.20	2.40	1.40	1.22	1.37

3 დეკემბერი

17:00	109	კელი-ერფურტი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60

გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

2 დეკემბერი

17:30	110	აალენი-ვეენი	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
17:30	111	დარმშტადი-საარბრიუკენი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
17:30	112	ვალდჰოფ-მანჰეიმი1860(შ)	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
17:30	113	პოდენსაიმი-ჰეხენი	1.40	3.80	6.70	1.02	1.15	2.42
17:30	114	ინგოლშტადი-ზიგენი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
17:30	115	ლაუტერნი(შ)-პირმასენსი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
17:30	116	კარლსრუე(შ)-კიკერსი	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
17:30	117	შტუტგარტ(შ)-რეგენსბურგი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67

3 დეკემბერი

18:00	118	ბაიერნი(შ)-ფუულენდორფი	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80

ავსტრია. ბუნდესლიგა

2 დეკემბერი

21:30	119	გრაცერი-მატერსბურგი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
21:30	121	რაპიდი-შტურმი	1.85	3.20	3.85	1.17	1.24	1.74
21:30	122	სალცბურგი-ალტახი	1.22	5.00	10.00	1.00	1.08	3.33
21:30	124	ტირიოლი-რიდი	2.20	3.10	3.00	1.28	1.26	1.52

3 დეკემბერი

18:30	125	პაშინგი-აუსტრია	2.05	3.10	3.40	1.23	1.27	1.62

ავსტრია. I დივიზიონი

1 დეკემბერი

22:00	133	აუსტრია(ლ)-შვანენშტადტი	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
22:00	134	აუსტრია(შ)-ალმირა	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
22:00	135	პარტბერგი-კერნტენი	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
22:00	136	ლინცერი-ლუსტენაუ	1.45	3.90	6.00	1.05	1.16	2.36
22:00	137	ლეობენი-კაფენბერგი	1.52	3.50	5.30	1.05	1.18	2.10
22:00	138	პარნდორფი-გრაგერორნი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40

შვეიცარია. სუპერლიგა

2 დეკემბერი

20:45	139	სტ.გალენი-აარაუ	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
20:45	140	თუნი-ციურიხი	4.50	3.40	1.65	1.93	1.20	1.11

3 დეკემბერი

19:00	141	გრასჰოპერი-იანგ ბოიზი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
19:00	142	ხიონი-შაფჰაუზენი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46

4 დეკემბერი

22:45	143	ბასელი-ლუცერნი	1.40	3.90	7.00	1.03	1.16	2.50

იტალია. სერია A

2 დეკემბერი

21:00	153	ინტერი-ხიენა	1.20	5.40	13.00	1.00	1.09	3.81
23:30	155	რომა-იტალანტა	1.30	4.50	9.50	1.00	1.14	3.05

3 დეკემბერი

18:00	157	კალიარი-მილანი	4.30	3.20	1.85	1.83	1.29	1.17
18:00	159	ფიორენტინა-ლაკიო	2.00	3.10	3.70	1.21	1.29	1.68
18:00	160	ლივორნო-კიეტი	1.90	3.00	4.30	1.16	1.31	1.76
18:00	162	მესინა-სამპდორია	2.35	2.90	3.10	1.29	1.33	1.49
18:00	163	პარმა-პალერმო	4.10	3.00	1.95	1.73	1.32	1.18
18:00	165	ტორინო-ემპოლი	2.05	3.00	3.65	1.21	1.31	1.64
18:00	166	უდინეზე-რეჯინა	1.85	3.00	4.60	1.14	1.31	1.81
23:30	167	ასკოლი-კატანია	2.55	2.90	2.85	1.35	1.34	1.43

იტალია. სერია B

1 დეკემბერი

23:45	169	ფენეცია-იუვენტუსი	4.50	2.90	1.85	1.76	1.31	1.12

2 დეკემბერი

19:00	170	ალბინოლეფფე-სენენა	2.40	2.60	3.30	1.24	1.38	1.45
19:00	171	არეზეო-პესკარა	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
19:00	172	კრიტონე-პიაჩენცა	2.60	2.60	2.90	1.29	1.37	1.37
19:00	173	მანტოვა-ბარი	1.90	2.70	4.60	1.11	1.34	1.70
19:00	174	მოდენა-ტრევიზი	2.10	2.60	4.00	1.16	1.37	1.57
19:00	175	ნაპოლი-ფერეხინონე	1.35	3.60	10.00	1.00	1.18	2.64
19:00	176	რიმინი-ვიჩენცა	1.45	3.40	8.00	1.01	1.22	2.38
19:00	177	ტრიესტინა-ხეეკია	1.85	2.80	4.50	1.11	1.31	1.72
19:00	178	ვერონა-ბოლონია	2.90	2.70	2.50	1.39	1.34	1.29

4 დეკემბერი

23:45	179	ლეჩე-ბრეშა	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47

იტალია. სერია C1/A

3 დეკემბერი

17:30	180	კრემონეზე-ალბესე	2.10	2.50	4.00	1.14	1.37	1.53
17:30	181	ივრეა-ლეკეზე	2.85	2.60	2.60	1.35	1.35	1.29
17:30	182	პადოვა-პრო სესტო	1.75	2.70	5.50	1.06	1.32	1.81
17:30	183	პავია-პისიგეტონე	1.65	2.90	6.00	1.05	1.29	1.95
